# სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

## 2018 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება**
**სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი**

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით**

**ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი გაბისონია.**
**აკადემიური პერსონალი 89**
**1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**
**1.1.**

| № | **გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით | პროექტის დაწყების და დამთავრების წლები | პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით) |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1 | საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნების შესაბამისად““ | 01.01.18 წლიდან 01.01.19 წლამდე. | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |
| 2 | საერთაშორისო თანამედროვე ურთიერთობები“ | 2018 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |
| 3 | სამართლიანობის ფილოსოფია და თანამედროვეობა“ | 2018 წლის 1 იანვარიდან 2019 წლის 1 ივნისამდე. | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |
| 4 | სახელმწიფო და სამართლის თეორია | 2018 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 ივნისამდე | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 | ბოსნია და ჰერცოგოვინას პოსტკომფლიქტური სახელმწიფო მოწყობა და მართვა და მისი გამოყენების პერსპექტივები საქართველოში“. | 01.01.18 წლიდან 01.01.20 წლამდე | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |
| 6 | ,,სისხლის სამართლის კერძო ნაწილი ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული“ | 01.02.2018 წლიდან 01.02.2019 წლამდე | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |
| 7 | სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამართალი | 2018 წლის 1 მარტიდან 2020 წლის 1 მარტამდე | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |
| 8 | "კანტის პოლიტიკური წერილების თარგმნა" | 2018 წლის 1 თებერვლიდან 2019 წლის 1 აგვისტომდე | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |
| 9 | "კრიმინოლოგის მონოგრაფიის შექმნის შესახებ" | 01.02.2018 წლიდან 01.02.2019 წლამდე | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |
| 10 | მთარგმნელობითი პროექტი- "International Law and International Relations“ | 2017 წლის ივნისიდან 2018 წლის 19 ოქტომბერი | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |
| 11 | საერთაშორისო საჯარო სამართალი | 2018 წლის 1 მარტიდან 2019 წლის 1 სექტემბრამდე | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |
| 12 | ,განათლების სამართალი” | 2018 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 1 იანვრამდე | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |
| 13 | საერთაშორისო სამართლებრივი სისტემები და ადგილობრივი თვითმმართველობა | 2018 წლის 1 აპრილიდან 2019 წლის 1 აპრილამდე (12 თვე) | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |
| 14 | სამართლის მეთოდები | 2018 წლის 1 აპრილიდან 2019 წლის 1 აპრილამდე | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |
| 16 | გენდერული თანასწორობა და დისკრიმინაცია პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები | 2018 წლის 1 მარტიდან 2020წლის 31 მარტამდე | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |
| 17 | მტკიცებითი (მტკიცებულებათა შე გროვების, საპროცესო დამაგრების შემოწმებისა და შეფასების) აქტუა ლური პრობლემები | 2018 წლის 18 ივნისიდან 2019 წლის 18 ივნისამდე. | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |

| | | | |
|---|---|---|---|
| 18 | "კულტურის სამართალი" | 2018 წლის | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |
| 19 | „სამართლებრივი სახელმწიფო, როგორც სოციალური და ზნეობრივი სახელმწიფო“ | 2018 წლის | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |
| 20 | „საერთაშორისო სასამართლო საერ თაშორისო ურთიერთობათა სისტე მაში“ | 2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის ნოემბრამდე | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |
| 21 | "პოლიტიკა სამსჯავროზე" | 2018 წლის 1 ნოემბრიდან 2019 წლის 1 ნოემბრამდე | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |
| 22 | მშვიდობიანი ეკონომიკა კონფლიქტების დარეგულირებისათვის" | 2018 წლის 1 დეკემბრიდან 2020 წლის 1 ივნისამდე. | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |
| 23 | ევროკავშირის შექმნა და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, | 2019 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 1 იანვრამდე | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |
| 24 | "საინჟინრო სამართალი" | 2017 წლის 1 ნოემბრიდან 2020 წლის 1 იანვრამდე | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |
| 25 | საქართველოს კონსტიტუციური განვითარების პოლიტიკურ-სამართლებრივი და ისტორიული ასპექტები | 2017 წლის 1 მარტიდან 2019 წლის 1 მარტამდე | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |
| 26 | სამართლის ფილოსოფია | 2017-2018 წელი | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |
| 27 | საქართველოს ტერიტორიული და სახელმწიფოებრივ პოლიტიკური მოწყობის, მმართველობისა და თვ ითმმართველობის ასპექტები | 2017-2018 წელი | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |
| 28 | აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსი საქართველოს სახელმწიფოში | 2017 წლის 1 მარტიდან 2020 წლის 1 მარტამდე | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |
| 29 | „საგამოძიებო სამართალი“ | 2017წელი 2018 წელი | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |

| | | | |
|---|---|---|---|
| 30 | „საქართველო საერთაშორისო ურთიერთობებსა და საერთაშორისო სამართლის სისტემაში | 2017 წლის 1 აპრილიდან 2019 წლის 1 აპრილამდე | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |
| 31 | ოჯახური ძალადობის პრობლემები საქართველოში | 2017-2018 წელი | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |
| 32 | "ლინგვოკრიმინალისტიკა" | 2017 წლის 1 აგვისტოდან 2021 წლის 1 აგვისტომდე | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |
| 33 | „სასამართლო მჭევრმეტყველება | 2016-2017 წელი | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |
| 34 | არაბული ეთნო-მენტალობისა და ეთნო-კულტურის კვალი ქართულ სინამდვილეში“ | 2016 წლის 1 ოქტომბრიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |
| 35 | ქართული მენტალური ლექსიკონი | 2016 წლის 4 იანვრიდან 2018 წლის დეკემბრის ჩათვლით | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |
| 36 | „მედია სამართალი“ | 2016 წლის 1 ოქტომბრიდან 2020 წლის 1 ნოემბრამდე | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |
| 37 | ,,სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო ხელისუფლება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში“ | 2017 წლის 1 ნოემბრიდან 2019 წლის 30 აპრილამდე. | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |
| 38 | „ნარკოტიკული დანაშაულის ფენომენი, მისი გამოვლენის, გამოძიების და პრევენციის ტაქტიკა და მეთოდოლოგია“ | 01.02.2018 წლიდან 01.06.2019 წლამდე | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |
| 39 | „ბავშვთა უფლებები“ | 2018 წლის 16 ივლისიდან 2019 წლის 16 მაისამდე. | აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრი, მოწვეული ექსპერტი |

**პროექტი „სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამართალი"**

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე 2018 წლის 1 მარტიდან ხორციელდება სამეცნიერო-კვლევითი პროექტი „ჯანდაცვის სამართალი“, რომელიც კვლევის შედეგების გათვალისწინებით საჭიროებდა მოდიფიცირებას.

აღსანიშნავია, რომ მრავალი ათწლეულის განმავლობაში, საქართველოში, სამართლის პროგრამებში, სამედიცინო საქმიანობისა და სამართალს შორის კავშირი რამოდენიმე არაძირითადი სასწავლო კურსითა და (მაგ: სასამართლო მედიცინა, სასამართლო ფსიქიატრია, სასამართლო ფსიქოლოგია) და ცალკეული საკითხების სწავლებით (სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, სამედიცინო საქმიანობის განხორციელების პროცესში ან/და ექიმის მიერ ჩადენილი დელიქტები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევები) შემოიფარგლებოდა, იმავდროულად (განსაკუთრებით გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან), მსოფლიოს მრავალ წამყვან უნივერსიტეტებში ის საკმაოდ მოცულობით სასწავლო კურსებად და დამოუკიდებელ პროგრამებად ყალიბდებოდა.

პროექტის მოდიფიცირების მიზანი მდგომარეობს სამედიცინო სფეროს მარეგულირებელი საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის შესწავლის შედეგად სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამართლის წიგნის შექმნასა და გამოცემაში, ასევე პროექტის უმთავრესი ამოცანაა სამედიცინო რეგულირების სამართლის სამაგისტრო პროგრამის შექმნა, რომელიც გაივლის შესაბამის აკრედიტაციას და განხორციელდება სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2018 წლის 1 დეკემბრიდან მოდიფიცირდა პროექტი „ჯანდაცვის სამართლი“ და იგი განხორციელდა სახელწოდებით „სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამართალი“.

**პროექტი „საერთაშორისო საჯარო სამართალი“**

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებით და რექტორის ბრძანებით დამტკიცდა სამეცნიერო-კვლევითი პროექტი: „საერთაშორისო საჯარო სამართალი“, რომელიც შეიქმნა პროექტის „საქართველოს საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის“ მოდიფიცირების შედეგად. კერძოდ, პროექტს უხელმძღვანელებს ფაკულტეტის საჯარო სამართლის აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი მარიამ ჯიქია. ძირეულად შეიცვალა პროექტის ამოცანებიც, ერთი სახელმძღვანელოს ნაცვლად მოდიფიცირებული პროექტის ფარგლებში გამოიცემა სამი სახელმძღვანელო, რომელიც სრულად უპასუხებს პროექტის მოთხოვნებს. ეს სახელმძღვანელოები იქნება: საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპები, საერთაშორისო საჯარო სამართალი და საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი. აღსანიშნავია, რომ პროექტის მიზანს წარმოადგენს არა მხოლოდ ქართულენოვანი სახელმძღვანელოს შექმნა, არამედ მათი ინტეგრირება სასწავლო პროგრამაში. ასევე, პროექტში ჩაერთო მოწვეული ასოცირებულ პროფესორი პაატა ჯავახიშვილი და დოქტორანტი ქეთევან გუგუჩია.

პროექტის ფუნდამენტურად მოდიფიცირება მიზნად ემსახურება თავდაპირველი ბიუჯეტის ფარგლებში მოხდეს მაქსიმალურად რელევანტური სამეცნიერო კვლევის შედეგების ასახვა სახელმძღვანელოებში.

**"საინჟინრო სამართლის" პროექტის ანგარიში**

„საინჟინრო სამართლის“ პროექტის ფარგლებში ჯგუფის წევრებს დავალებული ჰქონდათ იმ უცხოური უნივერსიტეტების მოძიება და მათთან ურთიერთობების დამყარება, რომლებიც ახორციელებენ საინჟინრო სამართლის პროგრამებს. ასევე, მათ ფუნქციაში შედის მოცემული უნივერსიტეტების აღნიშნული პროგრამების მოძიება და თარგმნა.

მოძიებულ იქნა რამდენიმე უნივერსიტეტი, სადაც ძალიან განვითარებულია საინჟინრო სამართლის პროგრამა. არსებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე გაირკვა, რომ საუკეთესო უნივერსიტეტები,

სადაც ხორციელდება საინჟინრო სამართალი, როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო და დოქტორანტურის დონეებზე, მდებარეობენ ავსტრალიაში.
თითქმის სრულად ითარგმნა სიდნეის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის საინჟინრო სამართლის საბაკალავრო პროგრამა, რაც ხელმისაწვდომი იყო ამ უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით. ასევე მელბურნის სვინბარნის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ანალოგიურ პროგრამას, რომელიც, ფაქტობრივად, არაფრით განსხვავდება სიდნეის შესაბამისი პროგრამისგან.
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეკანის დავალებით,დამყარდა ურთიერთობა ახალი სამხრეთ უელსის უნივერსიტეტის (University of New South Wales), სიდნეის ტექნოლოგიური უნივერსიტეტისა (University of Technology Sydney) და სვინბარნის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის (Swinburne University of Technology) სამართლის ფაკულტეტებთან (დეპარტამენტთან). ამ ურთიერთობის შედეგად დაიგეგმა და მიმდინარე წლის აპრილის თვეში განხორციელდა ვიზიტი ავსტრალიაში. ავსტრალიაში იმყოფებოდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი გაბისონია, ასოცირებული პროფესორები გიორგი გორაძე და მალხაზ ჩიტაია და ასისტენტი ვახტანგ ჟვანია.
დელეგაცია იმყოფებოდა 3 უნივერსიტეტში. ესენია: ახალი სამხრეთ უელსის უნივერსიტეტი (University of New South Wales), სიდნეის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (University of Technology Sydney) და სვინბარნის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (Swinburne University of Technology). ამათგან პირველი ორი უნივერსიტეტი განთავსებულია ქ. სიდნეიში, ახალი სამხრეთ უელსის შტატი, ხოლო მესამე - ქალაქ მელბურნში, ვიქტორიის შტატი. სამივე ზემოაღნიშნული უნივერსიტეტი ძალიან წარმატებული და ავტორიტეტული უნივერსიტეტია. სიდნეიში შეხვედრებს ესწრებოდნენ ავსტრალიაში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებიც. ავსტრალიაში ვიზიტი იყო ძალიან წარმატებული. დელეგაციამ მჭიდრო ურთიერთობები დაამყარა ცნობილ ავსტრალიურ უნივერსიტეტებთან, მათი მხრიდან არსებობს ჩვენთან თანამშრომლობისა და ერთობლივი პროექტების განხორციელების მზაობა, რის საფუძველზეც სამომავლოდ შესაძლებელია ძალიან ნაყოფიერი ურთიერთობების აღმოცენება უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევების თვალსაზრისით.
გარდა ამისა, მოძიებულ იქნა რამდენიმე ამერიკული უნივერსიტეტიც, რომლებიც ახორციელებენ საინჟინრო სამართლის კომბინირებულ პროგრამას. ეს უნივერსიტეტებია დასავლეთის ახალი ინგლისის უნივერსიტეტი (Western New England University), ნოტრ დამის უნივერსიტეტი (University of Notre Dame) და მისისიპის უნივერსიტეტი (University of Mississippi).
ახლა დღის წესრიგში დგას 2 ძირითადი საკითხი:
ავსტრალიური უნივერსიტეტების დელეგაციების ვიზიტის დაგეგმვა, მომზადება და ორგანიზება მათთან შემდგომი მჭიდრო ურთიერთობის პერსპექტივით;
ურთიერთობების დამყარება ევროპულ უნივერსიტეტებთან. მრავალ უნივერსიტეტს გერმანიაში, შვეიცარიაში, ავსტრიაში და ა.შ. აქვთ საინჟინრო სამართლის სამაგისტრო პროგრამა ან სასწავლო დისციპლინა „საინჟინრო სამართალი“. ჩემი ამოცანაა ურთიერთობა დავამყარო ამ უნივერსიტეტებთან მათთან შემდგომი მჭიდრო ურთიერთობის მიზნით.

**ახალი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი „მშვიდობიანი ეკონომიკა კონფლიქტების დარეგულირებისათვის“**

სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საბჭომ დაამტკიცა სამეცნიერო-კვლევითი პროექტი „მშვიდობიანი ეკონომიკა კონფლიქტების დარეგულირებისათვის“, რომელიც მიზნად ისახავს კვლევას და სიღრმისეულ, მეცნიერულ შესწავლას უკვე არსებული სამშვიდობო ინიციატივებისა, რომლებიც ემსახურება კონფლიქტის მშვიდობიან გადაწყვეტას და ასევე, ამ მიმართულებით ახალი

მიდგომების შემუშავებას. მისი ამოცანაა კვლევის შედეგები წარმატებით იქნეს გამოყენებული საქართველოში კონფლიქტების გადაწყვეტისათვის.
კვლევის ამოცანებისა და მიზნებიდან გამომდინარე, პროექტისადმი კომპლექსური მიდგომით პროექტის წევრებს შესაძლებლობა ექნებათ სამეცნიერო ღირებულებების და პრაქტიკული ხასიათის მქონე შედეგები მიიღონ. მოამზადონ სამეცნიერო პუბლიკაციები და მიღებულმა შედეგებმა ასახვა ჰპოვოს სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინებზე.
პროექტს განახორციელებენ: პროფესორები: ჯ.გახოკიძე, ი.გაბისონია.ჯ.გაბელია, ასოცირებული პროფესორი ს.მიდელაშვილი და დოქტორანტი ლ.ხარჩილავა.
პროექტის კვლევის შედეგად მიღებული შედეგები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სოციალურ-პოლიტიკური, საერთაშორისო სამართლისა და კონფლიქტოლოგიის პრობლემებით დაინტერესებული პირების, მათ შორის სტუდენტების, მაგისტრების და დოქტორანტების მიერ, შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, ამ საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ამ პრობლემით დაინტერესებული ფართო წრის მიერ.

**ახალი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი „ევროკავშირის შექმნა და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია“**

სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მიერ დამტკიცებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის აქტუალობას განაპირობებს თანამედროვე რეალობა-საქართველოს სწრაფვა ევროკავშირისა და ნატოსკენ, ევროპული ინტეგრაციისკენ, რაც წარმოუდგენელია საქართველოში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების გარეშე. ამ მიმართულებით გაანალიზებული იქნება მ. მუსხელიშვილის მიერ შექმნილი ევროპის კონსტიტუციის პროექტი, რომლის მნიშვნელოვანი დებულებები საფუძვლად დაედო 21-ე საუკუნის ევროკავშირის სამართალს, ასევე, შესწავლილ იქნება მ. მუსხელიშვილის მოსაზრებები ევროპის „საერთო ბაზრის“ შექმნის და მომავალში მისი ინსტიტუციური განვითარების შესახებ არსებული მონაცემები. უმთავრესად კი შესწავლილი და გაანალიზებული იქნება საქართველოსა და ევროპის ურთიერთობების ძირეული და მრავალმხრივი საკითხები.
ამდენად, პროექტის მიზანის წარსული ისტორიის ობიექტური შესწავლა-ანალიზის საფუძველზე შეიქმნას ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი პოლიტიკოსების, ასევე, ევროპული ღირებულებებისთვის ბროლის ისტორიის ამსახველი მონოგრაფიული გამოკვლევა, სათანადო საარქივო დოკუმენტრუი მასალების დართვით.
პროექტს განახორციელებენ: ვ.შუბითიძე, ე.ჯაფარიძე, ი.კვესელავა, ქ.ჯინჭარაძე, მ.თავდიშვილი, ა.ფუტკარაძე, ს.ფიფია. კვლევის მეთოდოლოგია წარმოადგენს ისტორიულ, შედარებით, აღწერილობით, შეფასებით, სისტემური ანალიზის და ემპირიულ კვლევას.
პროექტის შედეგებით დიანტერესდებიან როგორც ადგილობრივი მკვლევარები, ასევე უცხოეთის დიპლომატიური მისიების, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ქართული ემიგრაციით დაინტერესებული პირები. გამოიცემა ვრცელი მონოგრაფია, რომელიც მომავალში შეიძლება გახდეს სალექციო კურსი სოციალური და პოლიტიკური მეცნიერების მაგისტრანტებისთვის: „ევროინტეგრაციის საკითხი და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია- ისტორია და თანამედროვეობა“.

**ანგარიში კვლევითი პროექტის შესახებ: “საქართველოს კანონმდებლობის ჰარონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად“**

აღნიშნული პროექტი დაიწყო 2018 წლის 1 იანვარს და გრძელდება 1 წელი. პროექტში მონაწილეობს 6 ადამიანი, მათ შორის სტუდენტები. პროექტის ფარგლებში პირველ ეტაპზე შესწავლილი იქნა ის

ვალდებულებები, რომელსაც აკისრებს ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოს, რის შემდეგაც სამუშაო პროცესის ეფექტურად გასაგრძელებლად მიზანშეწონილად მივიჩნიეთ გარკვეული სფეროების გადანაწილება.
ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად კანონმდებლობაში უამრავი ცვლილებაა შესატანი, თუმცა პირველ რიგში აუცილებელია ამ საკითხების მეცნიერულ დონეზე კვლევა, შედარებითი ანალიზის გაკეთება და სხვა ქვეყნებში არსებული პრაქტიკის გამოყენება.
პროექტზე მუშაობის დროს მონაწილეთა ურთიერთშეთანხმებით რამდენჯერმე გადაჯგუფდა საკვლევი თემები და დაკორექტირდა მიმართულება, კერძოდ:
ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ (DCFTA) შეთანხმება, რომელიც ყველაზე მნიშნელოვანი ნაწილია ასოცირების შეთანხმების, რადგან სწორედ ის წარმოადგენს ევროკავშირში საქართველოს ეკონომიკური ინტეგრირების პროგრამას. აღნიშნული ხელშეკრულება ეხება ისეთ საკითხებს როგორიცაა სახელმწიფო შესყიდვები, კონკურენციის საკითხები, საერთო საბაჟო წესები, საგადასახადო პოლიტიკა. აღნიშნული იმდენად ფართოა, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, პროექტის მონაწილეებიდან რამდენიმე ადამიანის ამ საკითხის დამუშავებაში ჩართვა, კერძოდ მარიამ ჯიქია.
ერთ-ერთ მნიშნელოვან საკითხს მდგრადი განვითარებისთვის წარმოადგენს განათლების სისტემა და მისი მარეგულირებელი კანონმდებლობა. აღნიშნულ საკითხზე მუშაობს მარიამ ჯიქია და ხატია ვასაძე.
კანონის უზენაესობა, სასამართლო სისტემა და ადამიანის უფლებათა დაცვა - მანანა ბაწელაშვილი, გვანცა წახნაგია.
აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების (საქართველო, უკრაინა, მოლდოვეთი) შედარებითი ანალიზი პოლიტიკური ინსტიტუციების ფორმირებისა და მათი ფუნქციონირების ეფექტიანობის განსასაზღრელად - თეა ამნიაშვილი, ანა ფუტკარაძე.
პროექტის პირველი 6 თვის განამვლობაში თითოეული ჯგუფის მიერ მოძიებულ იქნა შესაბამისი ლიტერატურა, შეგროვდა გარკვეული მონაცემები. ბოლო სამი თვის მანძილზე მიმდინარეობს აღნიშნული ლიტერატურისა მონაცემების შესწავლა, დამუშავება, ანალიზი.
ზემოაღნიშნული მასალის დამუშვება დასრულდება ნოემბერში, საბოლოო ნაშრომების წარდგენა მოხდება საერთაშორისო კონფერენციაზე და გამოქვეყნება იგეგმება საერთაშორისო რეცენზირებად და რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში.

**„საერთაშორისო სამართლებრივი სისტემები და ადგილობრივი თვითმმართველობის“ ანგარიში**

სამეცნიერო კვლევითი-პროექტის სამუშაო ჯგუფის მიერ დღემდე დამუშავებული მასალის საფუძველზე გეგმის შესაბამისად უკვე სისტემური ხასიათი მიეცა საკითხთა წყობას: პირველ ნაწილში მუნიციპალური სამართლის ზოგად ასპექტებში განხილულია საზღვარგარეთის ქვეყნების ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის გნოსეოლოგიური ფესვები. საზღვარგარეთის ქვეყნების ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის როგორც სასწავლო დისციპლინის საგანი, მეთოდი, წყაროები და სისტემა. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის კონსტიტუციის საფუძვლები საზღვარგარეთის ქვეყნებში და მათი ადგილი იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში. ადმინისტრაციულ ტერიტორიული დაყოფის ძირითადი ნიშნები და ადგილობრივი (მუნიციპალური) მმართველობის ცნება. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილება (კომპეტენცია). ადგილობრივი ორგანოები და ცენტრალური ხელისუფლება ცენტრალური და ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოები. მეორე თავში განხილულია ადგილობრივი თვითმმართველობისა და

მმართველობის შესახებ თეორიების შექმნის ევოლუცია. კერძოდ: ძირითადი თეორიები და კონცეფციები და მმართველობის შესახებ. ჰიტერ  მალანჩუკის კონცეფცია და ადგილობრივი (მუნიციპალური) სამართალი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის სამართლებრივი ასპექტები. ნიკო ნიკოლაძისა და ილ. ჭავჭავაძის ზოგიერთი მოსაზრება ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. მესამე თავი ეხება ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ ქარტიას, ქალაქების თვითმმართველობას და მსოფლიო სამართლებრივ სისტემებს, კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის ქარტიის ძირითად პრინციპებს. ქალაქებისა და დედაქალაქების კომუნალური თვითმმართველობის კონსტიტუციურ საფუძვლებს. ადგილობრივი თვითმმართველობის საერთაშორისო სისტემებს. მეოთხე თავში განხილულია ადგილობრივი თვითმმართველობის საერთაშორისო სისტემების ძირითადი მოდულები კერძოდ: ადგილობრივი თვითმმართველობის ანგლოსაქსური მოდელი. აშშ-ის შექმნისა და მუნიციპალური სამართლის განვითარების ეტაპები. აშშ-ს კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები და ადგილობრივი მმართველობა. ადმინისტრაციული ტერიტორიული მოწყობა. ადმინისტრაციული მართვის ორგანოთა რეგიონალური მმართველობა და ადგილობროვი თვითმმართველობა. სამოხელეო და ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლის სისტემა. თავი მეხუთე ეძღვნება დიდი ბრიტანეთის თანამეგორობას. კერძოდ: დიდი ბრიტანეთის მმართველობისა და თვითმმართველობის სამართლებრივ საფუძვლებს და სისტემის ადგილობრივ თვითმმართველობას ინდოეთში, მის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფორმებს. ადგილობრივ მმართველობას და თვითმმართველობას კანადაში. მეოთხე თავში განხილულია თვითმმართველობის კონცეპტუალური (რომანულ-ფრანგული) მოდელი, კერძოდ: საფრანგეთის სახელმწიფო და მუნიციპალური მმართველობის ფორმები, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა. სამართლის სისტემა ადგილობრივი მმართველობის სისტემის სამართლებრივი ასპექტები, ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის რეფორმების ეტაპები და „ჩინოვნიკის“ ინსტიტუტი საფრანგეთში. ესპანეთის მმართველობა და ადგილობრივი თვითმმართველობა სამართლის სისტემა. იტალიის კონსტიტუცია და ადგილობრივი თვითმმართველობის კონცეფცია და ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი ევოლუცია. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმები და მართვის ორგანიზაცია, სამოხელეო აპარატისა და სამართლის სისტემის ფორმირების პრინციპები. საბერძნეთის ადგილობრივი თვითმმართველობა და  სამართლის სისტემა. დღემდე შესრულებული სამუშაო მოიცავს ნაბეჭდი თაბახის 310 გვერდს. ზოგიერთი გამოქვეყნებული მასალა თან ერთვის ანგარიშს.

**პროექტის  ,,გენდერული თანასწორობა და დისკრიმინაცია: პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები” ანგარიში**

ევროკავშირში ინტეგრაცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. 2017 წლის 14 დეკემბერს ბრიუსელში გამართულ ,,აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მე-5 სამიტზე მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ევროსტრუქტურების მიერ მომზადებულ სამუშაო დოკუმენტს, რომელშიც ჩამოყალიბებულია საქართველოს მიერ 2018-2020 წლებში განსახორციელებელი 20 პრიორიტეტი, რომელთაგან მე-2 ადგილზეა ,,გენდერული თანასწორობის ზრდა და დისრიმინაციის აღმოფხვრა“. კვლევის  მიზანია ევროპული სტანდარტებისა და ფასეულობების დანერგვის ხელშეწყობა,  საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, რომელიც დააჩქარებს გენდერული თანასწორობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის პროცესს.
პროექტზე მუშაობა დაიწყო 2018 წლის 1 მარტიდან, ხელმძღვანელი პროფესორი მაია ყიფიანი, მონაწილეები, პროფესორები: ირაკლი გაბისონია, ჯემალ გაბელია, ბესარიონ სეხნიაიძე, ციალა გლოველი, მანანა დარჩაშვილი, ასოცირებული პროფესორები: ხათუნა ლორია, ემილია ალავერდოვი, დამხმარე პერსონალი:

მარინა ჩხარტიშვილი, დავით სამარღანიშვილი. განხორციელდა პროექტის მონაწილეთა მოვალეობების გადანაწილება:

I კვარტალი - მასალების მოძიება, კლასიფიცირება;

II კვარტალი - უცხოეთის გამოცდილების შესწავლა და დამუშავება.

პროექტზე მუშაობა მიმდინარეობდა აქტიურად, პროფესორები მაია ყიფიანი, მანანა დარჩაშვილი, ბესარიონ სეხნიანიძე მუშაობდნენ გენდერისა და დისკრიმინაციის ამსახველი ისტორიული და პოლოტიკური მასალების მოძიება-კლასიფიცირებაზე, ხოლო სამართლებრივ ასპექტებზე ირაკლი გაბისონია, ჯემალ გაბელია, ციალა გლველი, ხათუნა ლორია.

პროფესორები ციალა გლოველი და მაია ყიფიანი მუშაობენ სამუშაო ადგილზე დისკიმინაციისა და გენდერული ნიშნით შევიწროების საკითხების დამუშავებაზე, წარმოადგინეს შესრულებული მასალის სამუშაო ვარიანტი.

პროფესორებმა ირაკლი გაბისონიამ, ჯემალ გაბელიამ, დამხმარე პერსონალმა მარინა ჩხარტიშვილმა, დავით სამარღანიშვილმა შესარულეს მათზე დაკისრებული მოვალეობა და 2018 წლის 1 ივლისიდან გამოეთიშნენ პროექტს. რაც შეეხება ასოცირებულ პროფესორ ხათუნა ლორიას, მან შეასრულა დაკისრებული ვალდებულება და 1სექტემბრიდან გამოეთიშა პროექტს. პროექტის მსვლელობის დროს გამოიკვეთა გენდერისა და დისკრიმინაციის ფსიქოლოგიური ასპექტების შესწავლის აუცილებლობა, პროექტში 2018 წლის 1 სექტემბრიდან ჩაერთო ფსიქოლოგი ლიკა სართანია.

ასოცირებული პროფესორი ემილია ალავერდოვი და დამოუკიდებელი მკვლევარი-ფსიქოლოგი ლიკა სართანია ამჟამად მუშაობენ უცხოენოვან ლიტერატურაზე, მოიძიეს ევროკავშირისა და გაეროს უახლესი კვლევები და ეწვიან მთარგმნელობით საქმიანობას.

**„სამართლის მეთოდები" ანგარიში**

წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით დღემდე დამუშავებულია შემდეგი საკითხები:

პირველი თავი სამართლის მეთოდების კონცეპტუალურ გააზრებას ეხება. სამართლის მეთოდოლოგიის ცნებას, სგანას, არსს და პრინციპებს. სამართლის მეთოდოლოგიისა და მეთოდების თანაფარდობის პრობლემას. მეორე თავში, სამართლის მეთოდოლოგიის თეორიული საფუძვლები განხილულია: განვითარების დიალექტების ძირითადი კანონების მეთოდოლოგიური მნიშვნელობა სამართალში. სამართლის მეთოდოლოგია, როგორც მიზნის მიღწევისა და პროგნოზირების საშუალება.

მესამე თავი ეძღვნება მეთოდოლოგიისა და მეთოდების ფილოსოფიურ საფუძვლებს, კერძოდ: მეთოდოლოგიის ზოგადმეცნიერულ ბუნებას, თეორიისა და პრაქტიკის მეთოდოლოგიურ გააზრებას, სამართლის მეცნიერებაში რეალობისა და ასახვის მეთოდებს.

მეოთხე თავში განხილულია ონტოლოგიური, გნოსეოლოგიური და ევნისტიკური მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა სამართალში, ისტორიული და ლოგიკური მეთოდების როლი, სამართლის განვითარებაში.

მეხუთე თავი ეძღვნება სამართლის მეთოდების კონცეპტუალურ გააზრებას, კერძოდ: ანალიზისა და სინთეზის, არსების არსისა და მოვლენის მეთოდებს. მეექვსე თავში განხილულია სამართლის მეთოდების სტრუქტურული ელემენტების კავშირი, კერძოდ: შინაარსისა და ფორმის, სტრუქტურისა დ ელემენტების კვლევის მეთოდები. მეშვიდე თავში მოცემულია მთელისა და ნაწილის, ურთიერთდამოკიდებულების პრობლემები, კერძოდ: ცალკეულისა და მთელის, მთელისა და ნაწილის კვლევის მეთოდები. დღემდე შესრულებული სამუშაო მოიცავს ნაბეჭდი თაბახის 256 გვერდს. კვლევა და სახელმძღვანელოს შედგენა „სამართლის მეთოდები"გრძელდება.

**„სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის“ ანგარიში**

სამუშაო ჯგუფის მიერ სრულდება მონოგრაფიული შრომა „სახელმწიფოსა და სამართლის თეორია“. ამჟამად უკვე მომზადებულია სამუშაოს სრული მოცულობის 2/3 ნაწილი. სახელდობრ, შესრულებულია სახელმწიფოს თეორიის ნაწილი: სახელმწიფოს არსი და ცნება, სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა, სახელმწიფოს სახეები, სახელმწიფოს ფუნქციები, სახელმწიფოს მექანიზმი, სახელმწიფო ხელისუფლების ცალკეული შტოები და მათი ერთიანობა. შესრულებულია აგრეთვე სამართლის თეორიის შემდეგი თავები: სამართლის არსი და ცნება, სამართლის სკოლები და სამართლის ძირითადი კონცეფციები, სამართლის თეორიის ადგილი იურიდიულ მეცნიერებასა და პრაქტიკაში, სამართლის თეორიის სისტემა და სამართლის თეორიის სტრუქტურა. ამჯამად მიმდინარეობს მუშაობა თავზე „სამართალი და სხვა სოციალური ნორმები“.

**სამეცნიერო პროექტის „საერთაშორისო თანამედროვე ურთიერთობები“ შესრულების მიმდინარეობის შესახებ**

წინამდებარე პროექტში გაერთიანებულია რამდენიმე კონკრეტული პროექტი, მათ შორის:
„ხისტი და რბილი ძალა საერთაშორისო ურთიერთობებში“ - პროექტზე
პასუხისმგებელი პირი - პროფ. ვაჟა შუბითიძე;
„საერთაშორისო კიბერტერორიზმი და ეროვნული უშიშროების უზრუნველ-ყოფის სტრატეგია“ - პროექტზე პასუხისმგებელი პირი - პროფ. ჰენრი კუპრაშვილი
„მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემა და საქართველო“ - პროექტზე
პასუხისმგებელი პირი - პროფ. მანანა დარჩაშვილი
„მიგრაციული პროცესები თანამედროვე მსოფლიოში, გამოკვლევები და პერსპექტივები“ - პროექტზე პასუხისმგებელი პირი - ასისტენტ პროფესორი: თამარ დარჩია.
,,ბოსნია და ჰერცოგოვინას პოსტკონფლიქტური სახელმწიფო მოწყობა, მართვა და მისი გამოყენების პერსპექტივები საქართველოში˜ - პასუხისმგებელი პირი - ასოც. პროფესორი სოფო მიდელაშვილი.
,,გლობალური პოლიტიკური ტრანსფორმაციები დასავლეთში და საქართველო’’ - პროექტზე პასუხსმგებელი პირი - ასისტენტ პროფესორი: გიორგი ჩხიკვიშვილი.
მთლიანობაში საერთო პროექტის მუშაობაში მონაწილეობდა 22 პროფესორ-მასწავლებელი და დოქტორანტი. ამათგან სხვადასხვა მიზეზების გამო პროექტზე მუშაობას გამოკლდნენ პროფესორები: ირმა კეცხოველი, მაია ამირგულაშვილი, სოფო ჩქოფოია, გიორგი სამარღანიშვილი.
მუშაობა პროექტით გათვალისწინებულ თემებზე გრძელდება და მისი საბოლოოდ დასრულება მოხდება 2019 წლის აპრილში.

**„საქართველოს კონსტიტუციური განვითარების პოლიტიკურ, სამართლებრივი და ისტორიული ასპექტების" ანგარიში**

სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე წარდგენილი გრანტის ფარგლებში არსებული პროექტის: „საქართველოს კონსტიტუციური განვითარების პოლიტიკურ, სამართლებრივი და ისტორიული ასპექტები“ ხელმძღვანელია და მის მუშაობას წარმართავს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა. პროექტის შესრულებაში მონაწილეობენ: სამართლის დოქტორი, პროფესორი ქეთევან ჯინჭარაძე; ისტორიის დოქტორი, პროფესორი ეპიფანე (ედიშერ) გვენეტაძე და უცხო ენების სპეციალისტი ნინო ჯანიაშვილი.
ნაშრომი შედგება შემდეგი თავებისგან:

ქართული კონსტიტუციის სათავეებთან; საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციები; საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია;
ნაციონალური მოძრაობის მცდელობები კონსტიტუციის საკუთარ მმართველობაზე მორგებისათვის;
საქართველოში ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლილება და საკონსტიტუციო საკითხები;
ქართული სახელმწიფოებრიობა და საკონსტიტუციო ცვლილებების აუცილებლობა.
ამჟამად პროექტი ფაქტობრივად იმყოფება დასრულების ეტაპზე. პროექტის თემის ირგვლივ არსებული სამართლებრივი ხასიათის მასალები მოიძია და შესაბამისი ანალიზი გააკეთა სამართლის დოქტორმა პროფ. ქეთევან ჯინჭარაძემ. უცხო ენებზე არსებული ლიტერატურის თარგმანი შეასრულა ნინო ჯანიაშვილმა, ხოლო ისტორიულ-პოლიტიკური საკითხები შეისწავლეს და გაანალიზეს პროფესორმა იგორ კვესელავამ და პროფესორმა ეპიფანე (ედიშერ) გვენეტაძემ. ამჟამად პროექტის მუშაობაში არ მონაწილეობს ნ. ჯანიაშვილი. პროექტზე მიმდინარებს მუშაობა და იგი დასრულდება 2019 წლის მარტში

**.„საქართველო საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში“ ანგარიში**
სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე წარდგენილი გრანტის ფარგლებში არსებული პროექტის: „საქართველო საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში“ ხელმძღვანელია და მის მუშაობას წარმართავს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა.
პროექტის შესრულებაში მონაწილეობენ: ისტორიის დოქტორი, პროფესორი მაია ყიფიანი; ისტორიის დოქტორი პროფესორი ეპიფანე (ედიშერ) გვენეტაძე; სოციალური მეცნიერებების დოქტორი, ასოც. პროფესორი თამარ დარჩია; ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი სალომე ხიზანიშვილი; პოლიტიკის დოქტორი, პროფესორი ქეთევან ჯიჯეიშვილი.
პროექტის მიმდინარეობაში თავდაპირველად მონაწილეობდნენ და შემდეგ დატოვეს: ფილოსოფიის დოქტორმა, ასოც. პროფესორმა ირმა კეცხოველმა; ისტორიის დოქტორმა, პროფესორმა მაია ამირგულაშვილი (გარდაიცვალა). სტუ დოქტორანტმა ზ. მახარაძემ. პროექტის მუშაობაში მონაწილეობა შეუჩერდათ ტექნიკურ თანამშრომლებს: ნ. ცაბაძეს და ნ. სირაძეს. ამჟამად პროექტის შემსრულებელთა რიცხვს დაემატა დოქტორანტი სალომე ფიფია. პროქტზე მიმდინარეობს მუშაობა და იგი დასრულებული იქნება 2019 წლის აპრილში.

**„ნარკოტიკული დანაშაულის ფენომენი, მისი გამოვლენის, გამოძიების და პრევენციის ტაქტიკა და მეთოდოლოგიის პროექტის ანგარიში"**
2018 წლის თებერვლიდან სამეცნიერო პროექტის “სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სისხლის სამართლის დეპარტამენტის საბაკალვრო პროგრამის სტუდენტებისთვის სახელმძღვანელოს მომზადება“ფარგლებში მზადდება სახელმძღვანელო „ნარკოტიკული დანაშაულის ფენომენი, მისი გამოვლენის, გამოძიების და პრევენციის ტაქტიკა და მეთოდოლოგია“

პროექტზე მუშაობდნენ: ხელმძღვანელი, სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სისხლის სამართლის დეპარტამენტის უფროსი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ჯემლ ჯანაშია და შემდეგი თანამშრომლები: პროფესორი ჯემალ გაბელია, უფროსი მასწავლებელი გიორგი ბოცვაძე, ასისტენტ პროფესორი ნინო გოგნიაშვილი, სპეციალისტები მარინა მაისურაძე და ირმა მათიაშვილი, ხოლო მოგვიანებით ჩაერთო ინგლისურის სპეციალისტი მაია გამსახურდია.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში გიორგი ბოცვაძემ დაამუშავა და დაბეჭდა პროექტის ხელმძღვანელის ჯემალ ჯანაშიას მიერ გადაცემული მასალები ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. სახელმძღვანელოში გათვალისწინებულია შემდეგი საკითხები:
ძირითად ტერმინთა განმარტებანი;
ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ინფორმაციული უზრუნველყოფა:
ნარკოტიკებთან დაკავშირებულ დანაშაულობათა პროფილაქტიკის კომპლექსური ღონისძიებები:
შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურების თანამოქმედება ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლაში;
ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ მიმართული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა თავისებურებები:
6. ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული დანაშაულების მოკვლევისა და გახსნის ტაქტიკური თავისებურებანი:
7. ნარკოტიკულ საშუალებათა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო პრაქტიკა:
მის მიერ აღნიშნული თავების სრული მოცულობით დამუშავების და მომზადების (დაბეჭდვის) შემდეგ მასალა მოყვანილი იქნა მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. მთავარმა სპეციალისტებმა მარინა მაისურაძემ და ირმა მათიაშვილმა მოიძიეს და სისტემაში მოიყვანეს ნარკოტიკებთან უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საერთაშორსიო ნორმატიული აქტები, ლიტერატურა, სტატისტიკური მონაცემები, საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა და სახით გადასცეს პროექტის ხელმძღვანელს. აგვისტოს თვეში აღნიშნული სამუშაოების შესრულების შემდეგ, გიორი ბოცვაძე, მარინა მაისურაძე და ირმა მათიაშვილი ამოღებული იქნენ პროექტის შემადგენლობიდან.
ჯემალ გაბელია ამჟამად მუშაობს ნარკოტიკული დანაშაულის სისხლის სამართლებრივი დახასიათების საკანონმდებლო რეგულაციებთან დაკავშირებით, ხოლო ასიტენტ პროფესორი ნინო გოგნიაშვილი მუშაობს თემაზე: „ნარკომანიასთან ბრძოლა სახელმძღვანელო-ცნობარი“, რომელიც მან ნოემბრის თვეში უნდა დაამთავროს, აგრეთვე ახორციელებს თარგმანს, რომელიც მოიცავს 81 გვერდს . თარგამნში მოცემულია შემდეგი საკითხები: კვლევის მეთოდები; საქმის გამოძიების მომზადება და დაწყება; ინფორმატორები; გამოკითხვა; საიდუმლო ოპერაცია; ჩხრეკა და ამოღება; ნივთიერი მტკიცებულების ამოღება და განხილვა; ნარკოტიკული საშუალებების ტიპები და იდენტიფიკაცია; ოპიუმი; კოკაინი; მარიხუანა; სტიმულატორები; დეპრესანტები; ნარკოტიკული საშუალებების ამოცნობა და ა.შ.

**სისხლის სამართლის კერძო ნაწილის, ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის“ შუალედური ანგარიში**

2018 წლის პირველი თებერვლიდან ფაკულტეტზე ხორციელდება სამეცნიერო-კვლევითი პროექტი სახელწოდებით „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ადამიანის და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული“, პროექტში ჩართული არიან პროფესორები: ირაკლი გაბისონია, ჯემალ გაბელია, თეიმურაზ დარსანია, ასევე ჯგუფის წევრები: ანა ფუტკარაძე, მიხეილ მგალობლიშვილი, გიორგი ბოცვაძე, რატი გაბისონია, თამარ ზარამია და აკაკი გაბელია.
ირაკლი გაბისონიას, ჯემალ გაბელიას, თეიმურაზ დარსანიას ავტორობით გამოიცა სახელმძღვანელო „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ლექციების კურსი, წიგნი პირველი“, რომელიც შეადგენს 422 გვერდს. სახელმძღვანელოს კორექტირება შეასრულეს პროექტის წევრებმა: მიხეილ მგალობლიშვილმა და გიორგი ბოცვაძემ, ტექნიკური რედაქტირება თამარ ზარამიამ, უცხოენოვანი ლიტერატურა მოიძია და თარგმნა აკაკი გაბელიამ, ნაშრომის

| |
|---|
| კომპიუტერული უზრუნველყოფა განახორციელა რატი გაბისონიამ, ხოლო სამეცნიერო რედაქტირება შეასრულა ანა ფუტკარაძემ.<br>სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისთვის, თუმცა განკუთვნილია სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტებისათვის და თავსებადია სასწავლო სილაბუსის. იგი განთავსებულია სტუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში და სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამკითხველოში, ნაშრომი შედგება 8 თავისაგან სადაც ასევე განხილულია საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები.<br>პროექტი აღნიშნული სახელმძღვანელოს გამოცემით არ ამოიწურულა და იგი ითვალისწინებს ასევე მეორე ნაწილის გამოცემას, რომელზეც მუშაობისათვის განხორციელდა პროექტში ჩართულ პირთა ცვლილება. კერძოდ, პროექტი დატოვა ანა ფუტკარაძემ, გიორგი ბოცვაძემ და აკაკი გაბელიამ. ამ ეტაპზე მომზადებულია გამოსაცემი სახელმძღვანელოს სტრუქტურა და მიმდინარეობს მუშაობა პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე თავზე, რომელსაც ახორციელებენ პროფესორები ირაკლი გაბისონია, ჯემალ გაბელია და თეიმურაზ დარსანია. ნაშრომის სამეცნიერო რედაქტირებას ახდენს მიხეილ მგალობლიშვილი, ტექნიკურ რედაქტირებასა და კომპიუტერულ უზრუნველყოფას ასრულებს თამარ ზარამია, ხოლო რატი გაბისონია დაკავებულია საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის შესწავლითა და საჭირო მასალების თარგმნით.<br><br>აღნიშნული სახელმძღვანელოზე მუშაობა მიმდინარეობს გეგმის სახით და იგი წარედგინება საზოგადოებას პროექტის დასრულებამდე ანუ 2019 წლის პირველ თებერვლამდე. |

## 1.2.

| № | **დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით | პროექტის დაწყების და დამთავრების წლები | პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით) |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1 | საქართველოს ტერიტორიული და სახელმწიფოებრივ პოლიტიკური მოწყობის, მმართველობისა და თვითმმართველობის ასპექტები | 2017-2018 წელი | |
| 2 | ოჯახური ძალადობის პრობლემები საქართველოში | 2017 წლის 1 მარტიდან 2018 წლის 1 მარტამდე | |
| 3 | მთარგმნელობითი პროექტი- "International Law and International Relations“ | 2017 წლის ივნისიდან 2018 წლის 19 ოქტომბერი | |
| 4 | „სასამართლო მჭევრმეტყველება” | 2016-2017 წელი | |
| 5 | „საგამოძიებო სამართალი“ | 2017-2018 | |
| 6 | დანაშაულიდან სასჯელამდე“ | 2018 წელი 6 თვე | |
| **დასრულებული პროექტის „სასამართლო მჭევრმეტყველების“ ანგარიში** | | | |

სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის და საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურმეცნიერებათა ფაკულტეტის ერთობლივი სამეცნიერო–კვლევითი პროექტი „სამოსამართლო მჭევრმეტყველება“ 2018 წლის მაისში დასრულდა.

პროექტის ამოცანა მდგომარეობდა რიტორიკისა და ორატორული ხელოვნების სფეროებში დაგროვილი თანამედროვე კვლევების ანალიზის გაცნობაში, თანამედროვე სტანდარტებით სწავლების მეთოდიკის გაცნოებირებასა და აღნიშნულის საფუძველზე ქართული იურიდიული მჭევრმეტყველების სახელმძღვანელოსა და ქრეტომათია-პრაქტიკუმის დამუშავება-შედგენის კონცეფციის განსაზღვრაზე.

პროექტის ფარგლებში მოხდა სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება, დამუშავება, უცხოენოვანი ტექსტების თარგმნა, სასწავლო, სამეცნიერო და მეთოდური ლიტერატურის ანალიზი და კონცეპტუალური დალაგება შერჩეული პრინციპის მიხედვით, გამოვლინდა ქართული იურიდიული მჭევრმეტყველების ტექსტები, განხორციელდა თანამედროვე იურიდიული პროფესიული მეტყველების ბუნებისა და სტილის კვლევა და აღნიშნული მიზნით შემუშავდა სახელმძღვანელოები დაგარკვეული რეკომენდაციები.

პროექტის ფარგლებში გამოიცა სახელმძღვანელო ახალი რიტორიკა-საჯარო კამათის ტექნოლოგიები, რომლის ავტორები არიან თემურ ჯაგოდნიშვილი, ირაკლი გაბისონია და ივანე ჯაგოდნიშვილი და მათივე ავტორობით დამხმარე სახელმძღვანელო „რიტორიკის ქრესტომათია“ ასევე, ერთი მონოგრაფია დავით სოლომნიშვილის ავტორობით „ლუარსაბ ანდრონიკაშვილი“.

სასამართლო მჭევრმეტყველების სახელმძღვანელოსა და რიტორიკის ქრესტომათიაში გაშუქებულია ქართული სამოსამართლო მჭევრმეტყველების ისტორიის, თეორიის, მეტყველების სტილის საკვანძო საკითხები, ასევე, ორატორული ხელოვნების სწავლების მეთოდოლოგიის ზოგიერთი ასპექტი. აღნიშნული უმთავრესად სამართალმცოდნეების სპეციალობის სტუდენტებისთვის არის განკუთვნილი, მაგრამ ასევე დიდად დაეხმარება ქართული ორატორული ხელოვნებით დაინტერესებულ სხვა პირებსაც.

წარმოდგენილი ნაშრომები განიხილა ორივე ფაკულტეტის საბჭომ და თითოეულ მათგანი შესრულებული კვლევის ფარგლებში შეფასდა დადებითად და ავტორებს მიეცათ რეკომენდაცია ნაშრომები გამოიყენებოდეს როგორც დამხმარე სახელმძღვანელოები.

**დასრულებული პროექტის „საგამოძიებო სამართლის“ ანგარიში**

სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე 2017 წლის 1 აპრილიდან ხორციელდებოდა სამეცნიერო-კვლევითი პროექტი „საგამოძიებო სამართალი“, რომელიც დასრულდა 2018 წლის 1 აპრილს.

პროექტს თანახელმძღვანელობდნენ პროფესორები: ირაკლი გაბისონია და ჯემალ გახოკიძე, ხოლო წევრები იყვნენ: ჯემალ გაბელია, მიხეილ მამნიაშვილი, ლია მეტრეველი, გიორგი ტაკაშვილი, თემურ მონიავა, პაატა კობალაძე, და სხვები.

პროექტი მიზნად ისახავდა შექმნილიყო სახელმძღვანელო „საგამოძიებო სამართალი“, რომლის ანალოგიაც ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არ მოგვეპოვებოდა, ასევე გამოქვეყნებულიყო სამეცნიერო პუბლიკაციები საგამოძიებო სამართლის კუთხით.

პროექტის ფარგლებში გამოიცა პაატა კობალაძის მონოგრაფია“ პროკურორი, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი“ და წიგნი „საგამოძიებო სამართალი“ პროფესორების: ჯემალ გახოკიძის, ირაკლი გაბისონიას, მიხეილ მამნიაშვილისა და თემურ მონიავას ავტორობით.

პროექტის შედეგებმა ასახვა ჰპოვა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამაში და არჩევით საგნად დაემატა საგამოძიებო სამართალი.

პროექტის ფარგლებში გამოცემული სახელმძღვანელოები 2018 წლის 13 იანვარს სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ორგანიზებით საქართველოს მთავარი პროკურატურის 25-

მდე პროკურორს წარედგინა საჯარო განხილვისთვის. პრეზენტაცია-განხილვაზე ავტორებმა მათ შორის, ჯემალ გახოკიძემ და ირაკლი გაბისონიამ ისაუბრეს წიგნის მნიშვნელობაზე, ხაზი გაუსვეს ნაშრომზე მუშაობისას გამოვლენილი სამართლებრივი ხარვეზების აღმოფხვრის მექანიზმებს.
პროკურორების მიერ განხილვაზე ყურადღება გამახვილდა ნაშრომის სტრუქტურაზე და ხაზი გაესვა ავტორთა მიგნებებს კვლევის პროცესში. პროკურორებმა, ისაუბრეს სახელმძღვანელოში განხილულ კონცეპტუალურ საკითხებზე, კერძოდ, რომლებიც გამოძიების ორგანიზაციისა და გამომძიებლის უფლებამოსილებას შეეხება, მათი აზრით, აღნიშნული შესაძლოა გახდეს საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებების კანონპროექტის საფუძველი.

**დასრულებული პროექტის „საქართველოს ტერიტორიული და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოწყობის, მმართველობისა და თვითმმართველობის ასპექტების“ ანგარიში**

სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე 2018 წლის 1 მარტს დასრულდა ერთწლიანი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი „საქართველოს ტერიტორიული და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოწყობის, მმართველობისა და თვითმმართველობის ასპექტები“, რომელსაც ხელმძღვანელობდა პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი იგორ კვესელევა. პროექტი დაკომპლექტებული იყო შემდეგი შემადგენლობით: პროფესორები: ჯ.გახოკიძე და ე.გვენეტაძე, ტექნიკური უზრუნველყოფა: ნ. ცაბაძე და ნ.ჯაშიაშვილი.
პროექტი მიზნად ისახავდა სრულად წარმოეჩინა საქართველოს ტერიტორიული და სახელმწიფოებრივი მოწყობის ისტორიული, პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტები. წამოყენებული საკითხების კომპლექსურად შესწავლა მოითხოვდა ისტორიული პოლიტიკური, იურიდიული სამეცნიერო ლიტერატურის სრულყოფილად დამუშავებას და გაანალიზებას, ცალკეულ მოვლენათა თუ ფაქტთა მიზეზ-შედეგობრივ კავშირის გათვალისწინებით. პროექტის წევრებმა მოიძიეს წყაროები საქართველოს ცენტრალური არქივიდან, საქართველოს პარლამენტიდან, გამოიყენეს ქართული და უცხოური პუბლიკაციები.
ჩატარებული სამეცნიერო სამუშაოს შედეგად პროექტის ფარგლებში გამოიცა დამხმარე სახელმძღვანელო სახელწოდებით: „საქართველოს ტერიტორიული და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოწყობის, მმართველობისა და თვითმმართველობის ასპექტები“,. სადაც სრულყოფილად განხილულ იქნა შემდეგი თემები: ქართული სახელმწიფოებრიობა და ფედერალური მოწყობის ცალკეული ასპექტები, აფხაზეთი და საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხები, საქართველოში თვითმმართველობის ისტორია, სახელმწიფო მოწყობა, თვითმმართველობა 1990-2003 წლებში, მართველობის პრობლემები და სხვა. სახელძღვანელო სამეცნიერო წრისა და სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საბჭოს წევრების მიერ შეფასდა დადებითად.
სახელმძღვანელო განთავსებულია სტუ-ს ბიბლიოთეკაში და სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამკითხველოში.

**დასრულებული პროექტის „ოჯახური ძალადობის პრობლემები საქართველოში“ ანგარიში**

სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დაფინანსებით 2017 წლის 1 მარტიდან 2018 წლის 1 მარტამდე ხორციელდებოდა პროექტი „ოჯახში ძალადობის პრობლემები საქართველოში“,რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესორი მაია ყიფიანი, პროექტის წევრები იყვნენ:

| 49 | ედიშერ ჯაფარიძე | ,,მიხეილ მუსხლიშვილი- ქართველი ემიგრანტი მეცნიერი ევროინტეგრაციის სათავეებთან. | შრ. კრებული, ეპოქის ახალი დასაწყისი - საქართველოს დემოკრტიული რესპუბლიკა (1918-1921 წწ), | კავკასიის უნივერსიტეტი, | 2018, გვ.182/193 |
| 50 | ედიშერ ჯაფარიძე | ,,ალექსანდრე ნიკურაძის მოღვაწეობა მეორე მსოფლიო ომის შედმეგ პერიოდში'' | ,,ხელისუფლება და საზოგადოება'' (ისტორი, თეორია, პრაქტიკა), #45 ტ. 2. | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | 2018. გვ. 156-163, http://www.odageorgia.ge/downloads/Jurnali-1(45)2018_T_II.pdf |


## რ ე ზ ი უ მ ე

სტატია მომზადებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „სამართლიანობის ფილოსოფია და თანამედროვეობის“ ფარგლებში.

სამართლიანობის ცნება შინაარსისა და ფორმის მიხედვით, არაერთგვაროვანია. მის შინაარსობრივ მხარეს განსხვავებული კულტურები და ეპოქალური ცვლილებები განაპირობებს. ფორმის სხვადასხვაობას-მისი „გავლენის სფეროები“, როგორიცაა: მორალი, სამართალი, სოციალური გარემო, ეკონომიკა, პოლიტიკა. ჩვენი მიზანი მორალური და სამართლებრივი სამართლიანობის ურთიერთდამოკიდებულების კვლევაა.

სამართლიანობის მიღწევის გზები და საშუალებებიც განსხვავებულია. ისტორია მათ კანონზომიერად, საკუთარი ლოგიკით აწესებს, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველთვის კანონიერად.

სამართლიანობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ სამართლებრივ სახელმწიფოში, რომელიც ადამიანის სამართლიანი ცხოვრების გარანტს წარმოადგენს. იგი ორიენტირებულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების, როგორც სამართლიანობის იდეური საყრდენების დაცვაზე.

სახელმწიფოში სამართლიანობა ხორციელდება ნორმატიული კანონის საფუძველზე, იძულებით, ან ნებაყოფლობით. სამართლიანობის, როგორც საკაცობრიო იდეალის განხორციელებაში მონაწილეობს მთელი ცივილიზებული კაცობრიობა, თავისი წარსულით, აწმყოთი და მომავლით. მაგრამ, ისტორიული

სამართლიანობის განხორციელებაში განსხვავებული კულტურები მეტ-ნაკლები შესაძლებლობებითა და მიდრეკილებებით მონაწილეობენ. აქედან გამომდინარე, ამა თუ იმ ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხი სამართლიანობის განხორციელებაში მიღებული წვლილითა და ნიშნულით იზომება.

მიგვაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მსოფლიო ისტორიაში დღემდე საკუთარი არსებობის საფუძვლებს ინარჩუნებს, სამართლებრივი სახელმწიფოს მოწყობის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი.

წარმოდგენილი სტატია ორ მიზანს ემსახურება: 1. სამართლიანობის ცნების სირთულის სპეციფიკის გარკვევასა და 2. გლობალური მსოფლიო ცივილიზაციის პირობებში, ქართული სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბისათვის ხელშეწყობას.


**რეზიუმე**

სტატია მომზადებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „სამართლიანობის ფილოსოფია და თანამედროვეობის“ ფარგლებში.

ჯონ როულსის ნაშრომში გადმოცემულია სოციალურ სამართლიანობასა და კანონიერებას შორის არსებული ურთიერთობის ფუნდამენტური ანალიზი. სოციოლოგიის, ეთიკის, ფილოსოფიის გარდა, მისი ნაშრომი ეხება ეკონომიკურ, იურიდიულ და პოლიტიკურ მეცნიერებებს.

ჯონ როულსს მიაჩნია, რომ „პატიოსანი და სამართლიანი“ საზოგადოების შესაქმნელად ადამიანები უნდა შეთანხმდნენ პრინციპებზე, რომელთა მეშვეობითაც შემდგომში რეფორმირდება სოციალური ინსტიტუტები.

ჯონ როულსი გვთავაზობს პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების რთული საკითხების გადაწყვეტის გზას. მისმა შეხედულებებმა დიდი გავლენა იქონია თანამედროვე პოლიტიკურ ფილოსოფიაზე, გამოიწვია არსებული ტრადიციული ლიბერალური ღირებულებების გადაფასება.



**რეზიუმე**

სტატია მომზადებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „საინჟინრო სამართლის“ ფარგლებში და ეძღვნება საერთაშორისო ენერგეტიკის სამართლის საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელ დარგად ფორმირების საკითხს. დასკვნა კეთდება სამართლის სხვადასხვა მეცნიერის მიერ დამკვიდრებული ნიშნებისა და თვისებების ერთობლიობის ანალიზზე, რომლებიც წარმოადგენენ სამართლის ახალი დარგის ფორმირების საფუძველს. სტატიაში ასევე, ყურადღებაა გამახვილებული საერთაშორისო არენაზე ენერგეტიკაში არსებული საკითხების მნიშვნელობაზე.



**რეზიუმე**

ნაშრომში განხილულია ის საფრთხეები, რომლებიც მსოფლიო საზოგადოების საერთაშორისო ტერორიზმით ექმნება. აღნიშნულია, რომ ტერორიზმის პრობლემა არ უკავშირდება რომელიმე ცალკეულ პოლიტიკურ ძალას, იგი გლობალური ხასიათისაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია პოლიტიკური და საზოგადოებრივი კონსენსუს საგანი უნდა გახდეს. ამისათვის, საჭიროა სახელმწიფომ უფრო მეტად

გაითვალისწინოს ანალიტიკოსების, ისტორიკოსების, უსაფრთხოების სფეროს სპეციალისტების, სამეცნიერო წრის წარმომადგენლთა მოსაზრებები არსებული საკითხთან დაკავშირებით.

**რეზიუმე**

ნაშრომში „ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია- უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძველი“ ყურადღებაა გამახვილებული ჩრდილო კავკასიიდან მომდინარე საფრთხეზე და სახელმწიფოებს შორის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ურთიერთობების შემდგომი სრულყოფის საკითხებზე. პირველი რიგის ამოცანად მიჩნეულია გლობალური გამოწვევების სწორი შეფასება და მისი ადგილობრივ, რეგიონალურ და გლობალურ ჭრილში გააზრება. საქართველოსათვის სტრატეგიულად პარტნიორი და მოწინააღმდეგე ქვეყნების, ასევე იმ ორგანიზაციების განსაზღვრა, რომლებიც წარმოადგენენ საფრთხეს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისათვის ან პირიქით: გაკეთებულია დასკვნა იმის შესახებ, რომ მათთან თანამშრომლობითა და პარტნიორობით შესაძლებელია მაქსიმალურად იქნეს მიღწეული უსაფრთხო გარემო.

**რეზიუმე**

სტატიაში „საგადასახადო სისტემის პოლიტიკურ-სამართლებრივი და ეკონომიკური მახასიათებელი“ განხილულია საგადასახადო სისტემების პოლიტიკურ-სამართლებრივი და ეკონომიკური მახასიათებლები. ყურადღება გამახვილებულია საგადასახადო სისტემის როლზე, თუ რა გავლენას ახდენს სახელმწიფოს პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე და სოციალურ მდგომარეობაზე.

საგადასახადო ურთიერთობებზე მსჯელობისას ძირითადი აქცენტი გადატანილია საგადასახადო სისტემის მნიშვნელობასა და ელემენტებზე. სტატიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებს, რის საფუძველზეც გაანალიზებულია საკანონმდებლო ხარვეზები.

პოლიტიკურ-სამართლებრივი მახასიათებლის განხილვისას ყურადღება გამახვილებულია საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების საქმეში ხელისუფლების კომპეტენციის რეგულირებაზე კერძოდ, კი გადასახადების შემოღებისა და დაწესების საკითხზე. შესწავლილია როგორც საგადასახადო სფეროში გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის საშუალებები, ასევე პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადებით დაბეგვრის საკითხი.

საქართველოს საგადასახადო სისტემისა და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების ურთიერთშეჯერებისა და გაანალიზების საფუძველზე საგადასახადო სისტემისა და კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით ავტორთა მიერ შემოთავაზებულია გარკვეული სახის რეკომენდაციები.

**რეზიუმე**

სამართლიანობის საკითხები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში

სამართლიანობა აბსტრაქტული, მორალური და საერთო სამართლებრივი კატეგორიაა, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები ძირითადად ხორციელდება სასამართლოში. გამოძიების დროს ეს პრინციპები

დარღვეულია, დაცვის მხარეს არ აქვს საშუალება რეალურად ისარგებლოს საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უფლებებით, რის გამოც გამოძიების სტადია არ შეესაბამება სამართლიანი პროცესის სტანდარტებს და უსამართლობის ელემენტს შეიცავს.

სამართლიანობა დარღვეულია დაზარალებულთან დაკავშირებით. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, დაზარალებულის უფლებები შეზღუდულია, იგი აღარ წარმოადგენს ბრალდების მხარეს და მას არ აქვს შესაძლებლობა დაიცვას თავისი ინტერესები.

უნდა გაფართოვდეს სააპელაციო წესით საქმის განხილვის ფარგლები. სამართლიანობის მოთხოვნა, განაჩენის გარდა, უნდა გავრცელდეს სხვა შემაჯამებელ გადაწყვეტილებებსა და სააპელაციო განხილვის საფუძვლებზე.

**რეზიუმე**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის შენიშვნასთან დაკავშირებული წინადადებები

ნაშრომში განხილულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის შენიშვნასთან დაკავშირებული მდგომარეობა თანამედროვე საერთაშორისო და ეროვნული რეგულაციების გათვალისწინებით და მოცემულია წინადადების სახით ზემოაღნიშნული მუხლის შენიშვნის შესაბამისი ვერსია: ,,ის ვინც ნებაყოფილობით შეატყობინებს ან/და წარუდგენს ან/და ჩააბარებს სახელმწიფო სტრუქტურებს ამ მუხლით გათვალისწინებულ საგნებს გათავისუფლდება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები''.

**რეზიუმე**

საერთაშორისო ხელშეკრულებები როგორც ენერგეტიკის სამართლის
მნიშვნელოვანი წყარო

სტატიაში განიხილება ევროკავშირის ენერგეტიკის სამართლის დარგის ჩამოყალიბების ძირითადი ეტაპები. აქცენტი გაკეთებულია ენერგეტიკის სამართლის ნორმატიული ბაზის კვლევაზე, რაც მიმდინარეობს ქვედარგობრივ დონეზე, ე.ი. ავტორის მიერ ცალ-ცალკე განიხილება ნავთობისა და გაზის, ბირთვული ენერგეტიკის, ელექტროენერგეტიკის, ენერგიის განახლებადი წყაროების და ენერგოეფექტურობის სამართლებრივი რეგულირება.

**რეზიუმე**

კიბერნეტიკული და კომპიუტერული მეთოდები სამართალში

კომპიუტერიზაცია და კომფიუტერიული რევოლუცია ქმნის ხელსაყრელ პირობებს სამართლის, კანონმდებლობის და კანონიერების განმტკიცების, განვითარებისა და სრულყოფის სფეროში.

კომპიუტერიზაცია სულაც არ ნიშნავს ადამიანის განდევნას ინტელექტუალური საქმიანობის სფეროდან, მაგრამ კომპიუტერიზაცია და განსაკუთრებით რობოტიზაცია შეიცავს სერიოზულ რისკს, რამდენადაც არა თუ მანქანების, არამედ ხშირ შემთხვევაში რთულდება ცნობიერი ადამიანის მართვა, საფრთხე კი რეალურია.

## რეზიუმე

ხანდაზმულობა სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, საგადასახადო და სისხლის სამართლის კანონმდებლობაში

ნაშრომში განხილულია სამოქალაქო, ადმინისტრაციულ საგადასახადო და სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ხანდაზმულობის საკითხები, გავლებულია პარალელები ამ სფეროს მარეგულირებელ დღემდე არსებულ რეგულაციებთან. გაანალიზებულია ის ძირითადი სიახლეები, რომელიც განხორციელდა ბოლო პერიოდში. გამოთქმულია მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, რომ ხანდაზმულობის გამოყენება არ გამოყენების საკითხები მოითხოვს სათანადო დამუშავებას და შემდგომ ცვლილებებს კანონმდებლობაში.



## რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ოჯახში ძალადობის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები.

გამოთქმულია მოსაზრებები ოჯახური ძალადობის ნიადაგზე ჩადენილი განზრახ მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის ზრდის ტენდენციებიდან გამომდინარე სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ცვლილების შეტანის თაობაზე. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილში ცალკე პუნქტად როგორც განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის დამატებასთან დაკავშირებით.



## რეზიუმე

სტატია მომზადებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „საინჟინრო სამართლის“ ფარგლებში, რომლის ხელმძღვანელები არიან უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი არჩილ ფრანგიშვილი და ფაკულტეტის დეკანი პროფესორი ირაკლი გაბისონია.

ნაშრომში წარმოდგენილია ენერგეტიკის სფეროში ეროვნული და უცხოური კანონმდებლობის ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მოკლე მიმოხილვა, მოთხოვნები წამოყენებული სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ ენერგო სექტორის მიმართ.

სტატიაში გაკეთებულია ენერგო მომარაგებისა და ენერგო უსაფრთხოების პრობლემების სამეცნიერო-სამართლებრივი ანალიზი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა შეფასდეს ენერგეტიკის სამართლის დარგობრივი სუვერენიტეტი და განხორციელდეს შესაბამისი კანონმდებლობის უნიფიცირება.



### კრიმინოლოგიის განვითარების პერსპექტივები საქართველოში,

სტატიაში განხილულია კრიმინოლოგიის მეცნიერების წარმოშობა, განვითრება და თანამედროვე მდგომარეობა. მისი ადგილი მეცნიერებათა შორის. თანამედროვე კრიმინოლოგიის ცნება, მიზნები, ამოცნები და ძირითადი კვლევის მეთოდები. კრიმინოლოგია შენადგენია ბერძნულ-ლათინური სიტყვებისგან. ლათინურად - Crimen, ხოლო ძველბერძნულად „krino“, „κρίνω“ - ბრალდებას, ხოლო Logos (λογία, *-logy)* - სწავლებას, მოძღვრებას, აზრს, ცნებას, გონებას ნიშნავს. აქედან კეთდება დასკვნა, რომ „კრიმინოლოგია“ სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „მოძღვრებას დანაშაულის შესახებ“, ასევე, იგი შეიძლება განვმარტოთ როგორც „სწავლება ბრალდების შესახებ“. კრიმინოლოგიური აზროვნება სათავეს ანტიკური ხანიდან იღებს. ამის ნათელი მაგალითია დიდი ბერძენი ფილოსოფოსების - პლატონის, არისტოტელეს, დემოკრიტეს, ისტორიკოსების - ჰეროდოტეს, თუკიდიდეს შრომები. მაგ. არისტოტელე დანაშაულობის პრევენციის

უმნიშვნელოვანეს ფაქტორებად განიხილავდა სამართლიან სახელმწიფო მოწყობას, კანონების სტაბილურობას, კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით, აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულ პირს არ შეიძლება ერთდროულად დაეკავებინა ორი თანამდებობა; თუკიდიდე დანაშაულად მიიჩნევდა მხოლოდ ისეთ დარღვევას, რომელიც ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე იყო ჩადენილი, მისი ეს მსჯელობა ეფუძვნებოდა იმ გარემოებას, რომ ადამიანის ბუნება ყოველთვის მზად არის კანონის დასარღვევად. სახელმწიფო საქმეებში აღიარებდა კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს. მიიჩნევდა, რომ სახელმწიფო თანამდებობებზე უნდა დანიშნულიყვნენ მხოლოდ პირადი ღირსებებით გამორჩეული ადამიანები და არა მაღალი წოდებისადმი კუთვნილების გამო. ჰეროდოტე მიიჩნევდა, რომ „თუ კაცს ქვეყნის სამსახური შეუძლია, მას ამაში ხელს არ უნდა შეუშალოს სიღარიბემ, მდაბიო წარმოშობამ ან დაბალმა საზოგადოებრივმა მდგომარეობამ. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ვიცავთ კანონებს მათ მიმართ პატივისცემის გამო, ვემორჩილებით ხელისუფლებას და კანონს, განსაკუთრებით, ჩაგრულთა დასაცავად დადგენილს და დაუწერელ წესებს, რომელთა დარღვევაც სათაკილოდ ითვლება".კაცობრიობის ისტორია დანაშაულისა და სასჯელის გარეშე არ არსებობს. შესაბამისად, ყოველთვის აქტუალური იყო თემა თუ რატომ სჩადის ადამიანი დანაშაულს და რას წარმოადგენს დანაშაულის ჩამდენი პირი. სოკრატეს აზრით, ფერმკრთალი და შავგვრემანი ადამიანები მიდრეკილები არიან კანონდარღვევებისაკენ. იგი თვლიდა, რომ ადამიანი იქცევა უღირსად იმიტომ, რომ მან არ იცის რაში მდგომარეობს მისი კეთილდღეობა, ხოლო დანაშაულს სჩადის თავისი ნების საწინააღმდეგოდ, გაუცნობიერებლად. პლატონის აზრით, დანაშაულს სჩადიან ადამიანები, რომელთა სულშიც ჩასახლდა დანაშაულის აზრი. მთავარი მიზეზი, რაც დანაშაულის ჩადენას ხელს უწყობს არის ნებივრობა და უსაქმურობა, რაც ფუფუნებას მოაქვს, ასევე, სულმდაბლობა და ბოროტის კეთების სურვილი, რასაც ხელს უწყობს უპოვარება, სიღარიბე. ამასთან, გონებას შეუძლია არჩევანი გააკეთოს კეთილსა და ბოროტს შორის. პლატონი თვლიდა, რომ ადამიანის ბედი გარდაუვლად არის წინასწარგანსაზღვრული სულის თვისებებით. არისტოტელეს შრომებშიც გვხვდება დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების განმარტებანი. ერთი მხრივ იგი უარყოფდა დაბადებით დამნაშავის იდეას (ეს იდეა დომიმანტი იყო მე-19 საუკუნის კრიმინოლოგიაში, ჩეზარე ლომბროზოს სწავლების მიხედვით), არისტოტელე თვლიდა, რომ თავად ადამიანზეა დამოკიდებული იქნება ის კეთილისმყოფელი თუ ბოროტისმქნელი. საყურადღებოა დიდი რომაელი ექიმის - გალენის (ძვ.წ. II ს.) იდეებიც, რომელმაც დაასაბუთა ალკოჰოლის ბორტად მოხმარების გავლენა დანაშაულის ჩადენაზე. გალენი თვლიდა, რომ აუცილებელი იყო გენეტიკურად თანდაყოლილ დამნაშავეთა ლიკვიდაცია, მაგრამ არა შურისძიების მოტივით, არამედ იმ მოსაზრებით, რა მოსაზრებითაც ანადგურებენ მორიელებსა და შხამიან ქვეწარმავლებს.ამერიკის შეერთებულ შტატებში, ავსტრალიასა და დიდ ბრიტანეთში კრიმინოლოგია ცნობილია როგორც „სასამართლო კრიმინოლოგია" და იგი, უპირველეს ყოვლისა, დანაშაულის გამოძიების, მტკიცებულებათა გამოკვლევის, დანაშაულის დროულად გახსნისა და დანაშაულის აღკვეთის ამოცანებს ემსახურება. კრიმინოლოგია, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დარგი, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩამოყალიბდა 1936 წელს, როდესაც დიდმა იურისტმა და კრიმინოლოგმა ლუკა მაიმ გამოაქვეყნა ნაშრომი „დანაშაულის აღკვეთა". ამერიკელი კრიმინოლოგი ო. ვოლმერი კრიმინოლოგიის დარგად განიხილავდა კრიმინალისტიკას. ამიტომ გაუგებარია თუ რას ეყრდნობა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამერიკული კრიმინოლოგია სოციოლოგიის დარგია. ამერიკულ კრიმინოლოგიაში ხაზგასმულია, რომ კრიმინოლოგიის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა არის დანაშაულის შესწავლა, მისი ინტერპრეტაცია და ახსნა.კრიმინოლოგიური კვლევების დასკვნებს დიდი მნიშვნელობა აქვთ სოციალური პროცესების გარდაქმნაში. კრიმინოლოგიის ამოცანა მდგომარეობს განსაზღვროს ისეთი ნეგატიური მოვლენა, როგორიცაა დანაშაულობა და შესთავაზოს სახელმწიფოსა და საზოგადოებას დანაშაულობის პრევენციის კონკრეტული რეკომენდაციები; რომელთა გათვალისწინება საზოგადოების მხრიდან ნიშანი იქნება იმისა, რომ საზოგადოება მზად არის ცივილური და ჰუმანური მეთოდებით, მეცნიერულად დასაბუთებულ სოციალურ ურთიერთობათა

ისეთი პროგრესული გარდაქმნებისათვის. რომლებიც შეესაბამებიან სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების მაღალ სტანდარტებს.კრიმინოლოგებს გააჩნიათ მაღალი სოციალური სტატუსი. მათი დასაქმების სფერო საკამაოდ ფართოა. დიპლომირებულ კრიმინოლოგს აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის მაგალითზე შესაძლებლობა აქვს იმუშაოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში, პოლიციასა და პენიტენციალურ დაწესებულებებში, სასამართლოში, უსაფრთხოების სამსახურებში. საგანმანათლებლო დაწესებულებებში; იმ არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებიც აწარმოებენ საქმიანობას არასრულწლოვანთა დანაშულობის პრევენციის კუთხით, სახალხო დამცველის ოფისში, კერძო დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურებში, საადვიკატო ფირმებში ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კრიმინოლოგის წლიური საშუალო ხელფასი შეადგენს 30.000 აშშ დოლარს (თვეში 2.500 აშშ დოლარი), მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე კრიმინოლოგის წლიური საშუალო ხელფასი 55.000 აშშ დოლარია (თვეში 4583 აშშ დოლარი), ხოლო გამოცდილების მქონე კრიმინოლოგის ხელფასი საკმაოდ მაღალია. საქართველოში კრიმინოლოგია სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებს შორის ახალი დარგია. საბჭოთა პერიოდში, მეცნიერების მიერ იგი სისხლის სამართლის ერთ-ერთ განყოფილებად იყო მიჩნეული და მის განვითარებას მწირი ყურადღება ეთმობოდა.საქართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ (1990 წელი) ქართული კრიმინოლოგია ყოველგვარი მეთოდოლოგიური საუძვლების გარეშე აღმოჩნდა, აქედან გამომდინარე, გამოცდილება და ტრადიციები ამ მხრივ არ არსებობს.საქართველოში კრიმინოლოგიის მეცნიერების აღორძინება 21-საუკუნის დამდეგიდან იწყება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის N120/1 ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს“-ს საფუძველზე კრიმინოლოგიას როგორც მეცნიერებას მიენიჭა უპირატესობა და აღიარებულ იქნა სამართლის მიმართულების სისხლის სამართლის სპეციალობის ქვედარგად (სპეციალიზაციად), რაც დიდ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ საქართველოში კრიმინოლოგიის მეცნიერების აღორძინებისა და განვითარების გზაზე. დღეისათვის ქართული კრიმინოლოგიის მეცნიერებაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი მისი საგანი - დანაშაულობა და მიზანი - დანაშაულობის სოციალური კონტროლი. ქართული კრიმინოლოგიის დანაშულობის ცნებაში საერთო ადგილი უკავიათ, ერთი მხრივ, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ დანაშაულებს, ხოლო მეორე მხრივ, ისეთ განსაკუთრებით საშიშ ასოციალურ მოვლენებს, როგორიც არის ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, აზარტული თამაშები და თვითმკვლელობანი. მეცნიერული კვლევები ამ მოვლენათა გამომწვევი მიზეზებისა და მათი სოციალური კონტროლის ღონისძიებათა შემუშავების კუთხით მიმდინარეობს.თანამედროვე კრიმინოლოგიის საგანი მოიცავს 4 მთავარ მოვლენას: 1. დანაშაულობას, როგორც სოციოლოგიურ-სამართლებრივ მოვლენას, რომელიც შედგება ყველა ჩადენილი დანაშაულის რაოდენობისაგან განსაზღვრულ სახელმწიფოში განსაზღვრული დროის მონაკვეთში და ისეთ ასოციალურ მოვლენებს, რომლებიც საზოგადოებრივი საშიშროების უმაღლესი ხარისხით გამოირჩევიან: ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, აზარტული თამაშები და თვითმკვლელობანი; 2. დამნაშავის პიროვნებას, აქ შევისწავლით დანაშაულის ჩამდენი პირის სოციალურ-დემოგრაფიულ, სოციალურ-როლურ, მორალურ-ფსიქოლოგიურ თვისებებს, იმ მიზნით, რომ მოვახდინოთ ეფექტური რესოციალიზაცია. 3. დანაშაულობის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების კვლევას (კრიმინოგენური დეტერმინანტებს); და 4. დანაშაულობის სოციალურ კონტროლს, რომელიც მოიცავს - სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ზომების სისტემას, მიმართულს დანაშაულობის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების აღმოხვრაზე, ნეიტრალიზებასა და შესუსტებაზე. კრიმინოლოგიის საგანში შემავალი ყველა აღნიშნული კომპონენტი ერთმანეთთან არის დაკავშირებული. პირველი სამი მოვლენის შესწავლა და კვლევა გვჭირდება იმისათვის, რომ მოვახდინოთ მეოთხე მოვლენის - დანაშაულობის - პრევენცია.თანამედროვე კრიმინოლოგიის ამოცანები 5 მთავარ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: 1. შემეცნებითი, რაც გულისხმობს კრიმინოლოგიის საგანში შემავალი მოვლენების შესახებ მუდმივი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამის კვლევას, ანალიზსა და სრულყოფას.

თავად სიტყვა შემეცნება მომდინარეობს ლათ. „Cognare“ დან და ნიშნავს ცოდნას, ცოდნის შეძენის პროცესს, რომელიც მოიცავს აზროვნებას, გახსენებას, ყურადღების მიქცევას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შემეცნება ესაა გამოცდილება, რომელიც განსხვავდება ემოციებთან დაკავშირებული გამოცდილებისაგან. 2. რეკომენდაციული: კრიმინოლოგია შეიმუშავებს მეცნიერულ რეკომენდაციებს დანაშაულობის პრევენციასთან და პროგნოზირებასთან მიმართებით 3. საექსპერტო, რაც უპირველეს ყოვლისა კანონპროექტებისა და კანონების კრიმინოლოგიურ ექსპერტიზებს უკავშირდება. 4. სამართლებრივი კულტურის ამაღლება საზოგადოებაში. აღნიშნული ამოცანის განხორციელებას უპირველსი მნიშვნელობა გააჩნია, რამეთუ დანაშაულობის პრევენციაში სწორედ მას მიუძღვის გადამწყვეტი როლი. მოსახლეობამ კანონთა პატივისცემა უნდა ისწავლოს და არა მისი შიში. შიშის ქვეშ მყოფი ადამიანი ვერაფერს შექმნის ღირებულს. 5 დანაშაულთან ბრძოლის საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ძვ.წ. V საუკუნეში რომაელებმა დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შესასწავლად დელეგაცია გააგზავნეს საბერძნეთში, რათა შეესწავლათ ბერძენთა მხრიდან დანაშაულობასთან ბრძოლის მეთოდები. აღნიშნული ამოცანის მისაღწევად მნიშვნელოვანია სისტემატური, აქტიური მონაწილეობის მიღება საერთაშორისო ფორუმებზე და კონფერენციებზე, კრიმინოლოგიის თემატიკაზე საქართველოში რეგულარული კონფერენციების ჩატარება, კრიმინოლოგიური პრობლემების შესახებ ჟურნალისტებისა და მოსახლეობის ინფორმირება და სტატისტიკის ხელმისაწვდომობა.კრიმინოლოგიური თეორიები ეს არის დანაშაულის მოძღვრების შესახებ იდეებისა და პრინციპების ერთობლიობა, რომელიც კრიმინოლოგიას, როგორც მეცნიერებას აყალიბებს.კლასიკურმა სკოლამ უარყო დანაშაულობის თეოლოგიური განსაზღვრა, რომლის მიხედვით ცოდვა და დანაშაული ერთმანეთისაგან გამიჯნული არ იყო და დანაშაული განსაზღვრა როგორც ადამიანის ნების სრულ თავისუფლებაზე დაფუძვნებული გაცნობიერებული არჩევანის შედეგი. კრიმინოლოგიის ანთროპოლოგიური სკოლის მიხედვით დანაშაულის მიზეზი დევს თვითონ დამანშავეში და არა საზოგადოებაში. სოციოლოგიურ თეორიათა მთავარი თეზისი, კრიმინოლოგიის ანთროპოლოგიური სკოლისგან განსხვავებით, იმაში მდგომარეობს, რომ დამანშავეებად კი არ იბადებიან, არამედ ხდებიან დანაშაულობის ახსნის სოციოლოგიური თეორიები სრულად ეწინააღმდეგება ჩვენს მიერ განხილულ კრიმინოლოგიის ანთროპოლოგიური სკოლის იდეებს. თავად საზოგადოებაში არსებობს ყველა დანაშაულის ჩანასახი და თავად საზოგადოება შეიცავს პირობებს, რომლებიც ხელს უწყობს დანაშაულის წარმოშობასა და განვითარებას.ამდენად, კრიმინოლოგიის მეცნიერების გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოში დანაშაულობის სიღრმისეული შესწავლა და მისი პრევენცია, საკანონმდებლო საქმიანობის სრულყოფა. კანონპროექტთა კრიმინოლოგიური ექსპერტიზა უმნიშვნელოვანესია საკანონმდებლო საქმიანობის წარმართვისას, კერძოდ კრიმინოლოგიური ცოდნის გამოყენების გარეშე ვერ დავადგენთ თუ რას გამოიწვევს მომავალში კონკრეტული კანონის, განსაკუთრებით სისხლისა და ადმინისტრაციულ კანონების მიღება - დანაშაულებრივი ქცევის აღკვეთას, შემცირებას თუ პირიქით, მის პროვოცირებას. დიდია მნიშვნელობა და წვლილი კრიმინოლოგიის მეცნიერებისა დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და პრევენციის კომპლექსურ ღონისძიებათა შესწავლის, დანაშაულობასთან ბრძოლის დაგეგმვისა და პროგნოზირების კუთხით. კრიმინოლოგიური კვლევებით ხორციელდება დანაშაულის მსხვერპლთა შესწავლა და მათი რეაბილიტაცია, ასევე, დამანშავე პიროვნების რესოციალიზაცია და რაც მთავარია, საზოგადოებაში სამართლებრივი კულტურის ამაღლება .ფაქტია, რომ დღეს, ჩვენს ქვეყანაში, კრიმინოლოგიაში როგორც სპეციალისტების, ისე სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების დეფიციტია. კადრები ამ კონკრეტულ ეტაპზე არასაკმარისია. კრიმინოლოგიის მიმართულებით სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები არ ცხადდება. ამიტომ ჩვენი ერთ-ერთი ამოცანა უნდა იყოს უმაღლესი სასწავლებლების იურიდიულ ფაკულტეტებზე კრიმინოლოგიის კურსისა და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განვითარება.

**ზოგიერთი რამ პროფესორ ბეჟან ხარაზიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, ბეჟან ხარაზიშვილის ზოგიერთი მოსაზრება მოწმის ჩვენების ფსიქოლოგიასთან დაკავშირებით,პროფესორ ბ.ხარაზიშვილის „სიცრუის ფსიქოლოგია'' ოცდაათი წლის შემდეგ: პრობლემები და პერსპექტივები,ბეჟან ხარაზიშვილის ზოგიერთი მოსაზრება სიცრუის ფსიქოლოგიის პრობლემებზე** - მოცემულ სტატიებში განხილული და გაანალიზებულია მე-20 საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი მეცნიერის პროფ. ბეჟან ხარაზიშვილის მოსაზრებები სხვადასხვა მიმართულებით. კერძოდ, სიცრუის ფსიქოლოგიისა და კრიმინალისტიკის ცალკეული ინსიტუტების მნიშნელოვან საკითხებზე.

**არასრულწლოვნის დაკითხვის თავისებურება** - სტატიაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიდან გამომდინარე გაანალიზებულია არასრულწლოვნის დაკითხვის თავისებურებები და მოცემულია შესაბამისი რეკომენდაციები.

ჰენრი კუპრაშვილი, კორნელი ოდიშარია, ივანე ალფაიძე

**თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი საქართველოს სახელმწიფო სისტემის სრულყოფაში**

რეზიუმე

სახელმწიფო სისტემის, ქვეყნის ეროვნული უშიშროების პროცესების მეცნიერული მიღწევების გამოყენებით მართვა, მჭიდროდაა დაკავშირებული პოლიტიკური პროცესების მოდელირებასთან, ინტელექტუალური სისტემების შექმნასთან. პოლიტიკური პროცესების მოდელირებას საკმაო ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში ჩაეყარა საფუძველი აშშ-ს მთელ რიგ უნივერსიტეტებში ასეთი მოდელების შექმნის პროცესებს [1]. საქართველოსთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, სახელმწიფო სისტემისა და მისი ძირითადი ელემენტის ეროვნული უშიშროების სისტემის შექმნისა და განვითრების პრობლემების სისტემოლოგიური კვლევა, ამ მიმართულებით ინტელექტუალური მოდელებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სინთეზი და პრაქტიკული გამოყენება.

ჰენრი კუპრაშვილი

**ინფორმაციულ ეპოქამდელი და თანამედროვე ომების თავისებურებანი**

რეზიუმე

ინფორმაციულმა ეპოქამ შეცვალა ომის გაგების სტანდარტები. ინფორმაციულ ომში ჯარისკაცი და სარდალი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ადამიანი პლანეტის ნებისმიერი მხარიდან, ბრძოლის ველი შეიძლება იყოს ყველგან და არსადაც, ყველაზე ეფექტურ იარაღად შეიძლება იქცეს კომპიუტერის კლავიატურაც კი. ინფორმაციულ ეპოქაში არსებითად იცვლება ომის ხასიათი და შინაარსი, მისი წარმოების წესი. სულ რაღაც რამდენიმე ათეული წლის შემდეგ კი იმდენად შეიცვლება, რომ ძალიან ცოტა რამ ექნება მას საერთო ომის ტრადიციულ გაგებასთან.

ჰენრი კუპრაშვილი

**სახელმწიფოს მოწყობისა და მმართველობის ფორმები**

რეზიუმე

პოლიტოლოგიაში სახელმწიფოს სახელისუფლებო და სტრუქტურული ნიშნების გამოსახატავად, ზოგადად, გა¬მოიყე¬¬¬ნება ცნება „სახელმწიფოს ფორმა“. ამ ცნებაში იგუ¬ლი-სხმება სხვადასხვა შემადგენელი ელემენტი: სახელმწიფო მოწ¬ყობის ფორმა, სახელმწიფოს მართვის მოდელი, სახელმ¬წი¬ფოს მართვის მეთოდი, პოლიტიკური რეჟიმი და სახელმ¬წიფო მმართველობის ფორმა. ხშირად გაუგებრობის შედეგად

მმართველობის ფორმა ერევათ სახე-ლ¬მწიფო მოწყობის ფორმასთან, სახელმწიფო (პოლი¬ტიკურ) რეჟიმ¬თან და სხვ.

ჰენრი კუპრაშვილი

**პოლიტიკის სამსჯავრო – თემურლენგი და გიორგი VII-ის პოლიტიკა**

რეზიუმე

ქვეყნის ისტორიის რთულ პერიოდებში, შექმნილ კრიტიკულ სიტუაციებსა და ვითარებაში განუზომლად დიდი მნიშვნელობა აქვს თუ როგორი ტიპის პოლიტიკური მოღვაწე აღმოჩნდება ქვეყნის სათავეში. პოლიტიკოსი, რომელიც ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, აანალიზებს არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს, შეაფასებს ძალთა თანაფარდობას, საერთაშორისო პოლიტიკურ სიტუაციას და შესაბამისად მას დაუპირისპირებს გონივრულ პოლიტიკას, რათა რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგებით უზრუნველყოს ქვეყნის ეროვნული უშიშროება თუ უბრალოდ მამაცი პოლიტიკოსი, რომელიც უკან მოუხედავად, დაუფიქრებლად, უკომპრომისოდ შეებრძოლება მტერს და არ აქვს გათვლილი მოსალოდნელი შედეგები. თემურლენგის შემოსევების პერიოდში საქართველოში ამ მეორე ტიპის პოლიტიკოსებს ეპყრათ ხელისუფლება და განაგებდნენ ქვეყნის ბედს.

ნაან ბახსოლიანი

1. ავტორის მიერ ძველსპარსულ ლურსმულ წარწერებში, ასურულ ლურსმულ წარწერებში, ანტიკური ხანის წერილობით წყაროებში, ძველ აღთქმაში, სამეცნიერო ლიტერატურასა და სხვა გამოცემებში დამოწმებული ტერმინ „კაპადოკიის“ შესწავლამ, ასევე, კულტურული ურთიერთობების, დაპყრობების, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ძალით გადასახლების გათვალისწინებამ, იმ მნიშვნელოვან დასკვნამდე მიიყვანა, რომ ქვეყნების ისტორიული გეოგრაფიის ცვლილებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული კაპადოკიისთვის ქვეყნის აღმნიშვნელ ეპითეტად „ლამაზი ცხენების ქვეყნის“ სახელწოდების მინიჭება.
2. ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველადაა მოძიებული ქართულად თარგმნილი ძვ. წ. პირველი ათასწლეულის აქადურენოვანი სადაზვერვო ხასიათის დოკუმენტური პირველწყაროები, რომელთა ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის შედეგად რეკონსტრუირებულია ასურეთის სადაზვევრო სამსახურის ის ეპიზოდები, რომლებშიც საკმაოდ სრულადაა ასახული ურარტუში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. ავტორების თვალსაზრისით, ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგები ყურადსაღებია ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების სადაზვერვო სამსახურის სისტემის მახასიათებლების წარმოსაჩენად.
3. ნაშრომი ისტორიოგრაფიული ხასიათისაა და ეძღვნება გერმანიაში მოღვაწე ქართველი მეცნიერის ტიტე მარგველაშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის ძირითადი მიმართულებების წარმოჩენას. ყურადღება გამახვილებულია იმ დიდ წვლილზე, რომელიც მეცნიერმა ქართველი ხალხის უძველესი ისტორიის, ეთნოლოგიის და კულტურის შესწავლაში შეიტანა. ხაზგასმულია, რომ ტიტე მარგველაშვილის მიერ გასული საუკუნის 20-40იან წლებში გაწეული კვლევა-ძიებათა შედეგები დღესაც აქტუალურია და გასათვალისწინებელი.
4. ნაშრომი ეძღვნება ხეთური ენის ლექსიკის თავისებურებების შესწავლას. ნაჩვენებია ამ ენისათვის დამახასაიათებელი კანონზომიერებანი, სხვა ძველაღმოსავლურ ენებთან (პროტოხეთური, ხურიტული, ასურული, ლუვიური, აქადური...) ძირითადი თანხვედრები. დადასტურებულია ქართველურ ენებში ხეთურიდან შეღწეული ნასესხობანი, რაც სამხრეთ კავკასიისა და ძველი ანატოლიის მჭიდრო კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობებითაა ახსნილი.

ნარკვევი ისტორიოგრაფიული ხასიათისაა, მასში გამოწვლილვითაა შესწავლილი ქართული თანამედროვე ხეთოლოგიური სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის ირინე ტატიშვილის ხეთოლოგიური ძიებანი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ავტორის იმ ნაშრომებს, რომლებიც ხეთური საზოგადოების ისტორიის ურთულეს ასპექტებს ასახავენ, კერძოდ, ხეთური რელიგიის თავისებურებებს, ხეთების სამშენებლო რიტუალებს, ხეთური ენის გრამატიკას და გარე სამყაროსთან ხეთების ურთიერთობის ისტორიას.

**ენერგორესურსები, როგორც პოლიტიკური ფაქტორი ევროკავშირისა და რუსეთის ურთიერთობებში**

სტატია ეძღვნება ენერგორესურსების როლს ევროკავშირისა და რუსეთის ურთიერთობებში. რუსეთი, გავლენიანი მსოფლიო ძალა და მნიშვნელოვანი პოტენციალის მქონე სავაჭრო პარტნიორი, ევროკავშირის უდიდესი მეზობელია, ისევე როგორც, თავის მხრივ, ევროკავშირი წარმოადგენს რუსეთისთვის ერთ-ერთ ძირითად პარტნიორს, როგორც ეკონომიკური, ისე გარკვეულწილად პოლიტიკური თვალსაზრისითაც.

**საქართველოს სამშვიდობო ინიციატივების წარსული, აწმყო და მომავალი.**

სტატიაში განხილულია საქართველოს სამშვიდობო ინიციატივების წარსული, აწმყო და მომავალი. წარმოდგენილია მოსკოვის 1995 წლის 30 მარტის შეთანხმების პოლიტიკურ-სამართლებრივი ანალიზი, შეფასებულია დღევანდელი სიტუაცია და მოცემულია კონკრეტული წინადადებები მომავალში იძულებით გადაადგილებული ჩვენი მოქალაქეების აფხაზეთში დაბრუნების თაობაზე.

ნაშრომის მიზანია პარიზში მოღვაწე, ქართული ემიგრაციის პირველი ტალღის თვალსაჩინო წარმომადგენელის მიხეილ მუსხელიშვილის შემოქმედების, მისი მეცნიერული, პოლიტიკური და კულტურული მემკვიდრეობის შესწავალა-გაცნობა, სამეცნიერო წრეებში მიმოქცევა და მისი ფართოდ სამჯავროზე გამოტანა.

ნაშრომის მიზანია გერმანიაში მოღვაწე ქართველი ევროპოლიტიკოსის, ქართული ემიგრაციის პირველი ტალღის თვალსაჩინო წარმომადგენელის ალექსანდრე ნიკურაძის შემოქმედების, მისი მეცნიერული, პოლიტიკური და კულტურული მემკვიდრეობის შესწავალა-გაცნობა, სამეცნიერო წრეებში მიმოქცევა და მისი ფართოდ სამჯავროზე გამოტანა.

## 5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

### 5.4. სტატიები

| № | ავტორი/ ავტორები | სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN | ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი | გამოცემის ადგილი, გამომცემლობა | გვერდების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნ.გოგნიაშვილი | Криминалистические аспекты борьбы с незаконным оборотом наркотических средств, ISSN 1829-4847 | ,,защитник закона'' - научно методический журнал #02,2016წ. | ქ.ერევანი, გამომცემლობა ,,LIMUSH'' | 10გვ.<br>78-88გვ. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 2 | ქ. ჯიჯეიშვილი<br>პ. მაჩაიძე | პრეზიდენტთა არჩევის წესის თავისებურებანი გერმანიასა და საქართველოში | ჟურნ. ,,დიპლომატია და სამართალი“ | თბილისი<br>ნიუ უნი | 8 გვერდი |
| 3 | Tamar Kupreishvili | “Kurdish Factor” in the current political processes of Turkey, Iran and Syria<br>ISBN – 978-81-936279-7-6 | | France, Paris | 5 |

**ნარკოტიკული საშალებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის კრიმინალისტიკური ასპექტები** - მოცემულ ნაშრომში გაანალიზებულია ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის როგორც სისხლის სამართლებრივი ასევე კრიმინალისტიკური თავისებურებები. განხილულია ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მნიშვნელობა და შესაბამისი კრიმინალისტიკური ტექნიკური საშუალებების თავისებურებები.

პრეზიდენტთა არჩევის წესის თავისებურებანი გერმანიასა და საქართველოში
სტატიაში გაანალიზებულია საპარლამენტო მოწყობის ქვეყნებში - გერმანიასა და საქართველოში პრეზიდენტის არჩევის არაპირდაპირი (როცა პრეზიდენტი კოლეგიის მიერ აირჩევა) წესის თავისებურებანი, ის გარკვეული დილემები და საფრთხეები, რომლებიც არსებობს არჩევნების ამ წესთან დაკავშირებით ავტორიტარიზმის მიმართულებით, იმ შემთხვევაში თუ არ იქნება გათვალისწინებული ქვეყნის თავისებურებანი, გამოცდილება და არსებული პოლიტიკური მოცემულობა დემოკრატიის ხარისხის თვალსაზრისით.

„ქურთების ფაქტორი“ თურქეთის, ირანის და სირიის თანამედროვე პოლიტიკურ პროცესებში, სტატია შეადგენს ხუთ ბეჭდურ გვერდს და გამოცემულია პარიზში, 2018 წელს.

## 6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

### 6.1. საქართველოში

| № | მომხსენებელი/<br>მომხსენებლები | მოხსენების სათაური | ფორუმის ჩატარების<br>დრო და ადგილი |
|---|---|---|---|
| 1 | ჰენრი კუპრაშვილი | რეგიონული უშიშროების ზოგიერთი ასპექტი | კონფერენცია თემაზე: "რეგიონული ეკონომიკური უშიშროება". 18.04.2018. თბილისი, სასტუმრო "ქორთიარდ მერიოტი" |

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | ჰენრი კუპრაშვილი | მე-20 საუკუნის ბოლოდან საქართველოსა და სომხეთის გეოპოლიტიკური ჭიდილის რამდენიმე ასპექტი | კონფერენცია თემაზე: „სამხრეთ კავკასია საერთაშორისო არენაზე: რეგიონში არაფრის მომცემი თამაშის გადალახვის გზები" . 15.05. 2018. თბილისი, სტუ |
| 3 | ჰენრი კუპრაშვილი | რეგიონული უშიშროების ზოგიერთი ასპექტი | კონფერენცია თემაზე: "რეგიონული ეკონომიკური უშიშროება". 18.04.2018. თბილისი, სასტუმრო "ქორთიარდ მერიოტი" |
| 4 | ჰენრი კუპრაშვილი | მე-20 საუკუნის ბოლოდან საქართველოსა და სომხეთის გეოპოლიტიკური ჭიდილის რამდენიმე ასპექტი | კონფერენცია თემაზე: „სამხრეთ კავკასია საერთაშორისო არენაზე: რეგიონში არაფრის მომცემი თამაშის გადალახვის გზები" . 15.05. 2018. თბილისი, სტუ |
| 5 | ქ. ჯიჯეიშვილი<br><br>ქ. ჯიჯეიშვილი<br><br>მიწვეული სტუმარი, კომისიის წევრი<br><br>ერთ-ერთი ორგანიზატორი | ,,საქართველო - აშშ-ს თანამედროვე ურთიერთობების პარადოქსები და გამოწვევები"<br><br>,,საქართველო: გამოწვევები და საფრთხეები", მმართველობის საპარლამენტო მოდელის პრობლემები საქართველოში"<br><br>____________<br><br>__________ | საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,მსოფლიო და კავკასია", 20018, სტუ<br><br>სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენცია ,,საქართველო: გამოწვევები და საფრთხეები", 2018, გორი, დ. აღმაშენებლის სახ. საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია<br><br>სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების 100 წლისთავისადმი, 20018, კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაცია Association of Private Universities<br><br>საერთაშორისო ტრენინგი ,,სწავლების თანამედროვე მეთოდები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | განახლებული სტანდარტების შესაბამისად“, 2018, ლოპოტა |
| 6 | ნანა ბახსოლიანი | სახელმწიფოსა და ერის ურთიერთმიმართების საკითხი აკაკი ჩხენკელის სამეცნიერო მემკვიდრეობაში | მე-7 საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი საქართველოს ევროპული არჩევანი,23-24 მაისი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი |
| 7 | ნანა ბახსოლიანი, ნანა ხაზარაძე | ჰიდრონიმი ფაზისი და ევროპა-აზიის საზღვარი | საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი II, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 100, 26029 სექტემბერი, თბილისი |
| 8 | ჯემალ გახოკიძე<br>სოფოო მიდელაშვილი,<br>ნონა ლომიძე | **მშვიდობიანი ეკონომიკა უკეთესი მომავლისათვის** | VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მსოფლიო და კავკასია. 25 მაისი, 2018 წელი. |
| 9 | ჯემალ გახოკიძე<br>სოფოო მიდელაშვილი, | **2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის სამართლებრივი და პოლიტიკური ასპექტები.** | საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,გენოციდის დანაშაულისა და ადამიანის უფლებათა დაცვის აქტუალური პრობლემები“, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 29-30 ნოემბერი, 2018 წელი. |
| 10 | ედიშერ ჯაფარიძე | პოლიტიკური ემიგრაცია ევროპაში | ძლიერი დიასპორა ერთიანი საქართველოსათვის, 100 წელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან. თბილისი. |
| 11 | სიმპოზიუმი, ედიშერ ჯაფარიძე | მიხეილ მუსხელიშვილი ქართულ-ევროპული მოძრაობის დამაარსებელი პარიზში, | 2018, 23/24 მაისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი |
| 12 | ედიშერ ჯაფარიძე | პოლიტიკური ემიგრაცია ევროპაში | ძლიერი დიასპორა ერთიანი საქართველოსათვის, 100 წელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან. თბილისი. |
| 1. მშვიდობიანი ეკონომიკა უკეთესი მომავლისათვის | | | |

| |
|---|
| ჩვენი რეალობიდან გამომდინარე ეჭვგარეშეა, რომ საჭიროა კონფლიქტების მოწესრიგების ახალი გზების ძიება, რომლებიც მხოლოდ რეალპოლიტიკას დაემყარება. აქედან გამომდინარე, კონფლიქტების ჩიხიდან გამოსაყვანად განსხვავებული სტრატეგია სჭირდება, როგორც საქართველოს ხელისუფლებას, ისე საერთაშორისო თანამეგობრობას. კვლევისას იმაშიც დავრწმუნდით, რომ გაყინული კონფლიქტების გაყინული გაურკვევლობა აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან მიმართებით არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კომერციული ურთიერთობა, თუნდაც ყოფით დონეზე, აუცილებლად ამოქმედდება. სწორედ ამ დროისათვის უნდა ვიყოთ მზად სამოქმედო პროგრამით, რომლის პოლიტიკა და სტრატეგია მეორე მხარესთან (მხარეებთან მიმართებით) არ უნდა იყოს არც შეტევითი და არც დაცვითი, არამედ კონსტრუქციული და კომპრომისული, რაც იმას ნიშნავს, რომ მიზანი უნდა იყოს ურთიერთშორისი ნდობის აღდგენა, შერიგება და თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ სიტუაციის ორივე მხარისათვის მისაღებად და სასარგებლოდ განვითარება, რამაც კონფლიქტის სრულმასშტაბიან მოწესრიგებამდე უნდა მიგვიყვანოს.<br><br>**2. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის სამართლებრივი და პოლიტიკური ასპექტები**<br>სტატიაში განხილული და გაანალიზებულია რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის სამართლებრივი და პოლიტიკური ასპექტები, „საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიში" (ე.წ. ტალიავინის კომისიის დასკვნა).<br>აღნიშნული ანგარიშის ანალიზის საფუძველზე ავტორები შეეცდებიან გასცენ პასუხი შემდეგ კითხვებს:<br>1. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუსეთმა განახორციელა თუ არა სამხედრო აგრესია და მოახდინა თუ არა სუვერენული საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია?<br>2. განხორციელდა თუ არა კოდორის ხეობის და ახალგორის ოკუპაცია?<br>3. მოხდა თუ არა საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფა?<br><br>ნაშრომში ასახულია ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მოღვაწეობა ევროპაში, მათი დამსახურებები და ღვაწლი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.<br>კვლევა ეთმობა ქართველი ევროპოლიტიკოსების მიერ პარიზში დაარსებულ ქართულ-ევროპულ მოძრაობას და მის მემორანდუმს, რომლებსაც სურდათ გააერთიანებიდათ და ერთ მუშტად შეეკრათ ემიგრაციაში 50-იანი წლების ქართველი პოლიტიკური წარმომადგენლობა. აღნიშნული მემორანდუმი საინტერესო და გამორჩეულია იმით, რომ იგი უცილობ ეხმიანება დღევნადელ ქართულ-ევროპული ურთიერთობებს, თითქოს ის ქართველი მეცნიერების მიერ დღესაა დაწერილი. |

## 6. 2. უცხოეთში

| № | მომხსენებელი/ მომხსენებლები | მოხსენების სათაური | ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი |
|---|---|---|---|
| 1 | მონაწილე | ___________ | საერთაშორისო ტრენინგი ,,Active Participation International Training – Conference Quality Assurance Standards of Europen Higher Educationand Their |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | Promotion/DevelopmentPerspectivesin Higher Education Institutions“, 2018, Cypros |
| მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა) | | | |